



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ძალადობრივი ქცევის პრობლემების მქონე მოზარდების
ქცევაზე რეაგირების მექანიზმები

კვლევის ანგარიში



თბილისი

2024

წინამდებარე კვლევა შექმნილია „სამოქალაქო საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „პრევენცია პროგრესისთვის“ და იგი ასახავს „სამოქალაქო საზოგადოების ფონდის“ და „ევროკავშირის“ შეხედულებებს.

კვლევის ავტორები: ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

სარჩევი

I. შესავალი.....	4
II. მეთოდოლოგია	5
III. საერთაშორისო სტანდარტები.....	6
IV. ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	10
ა) სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	10
ბ) განათლების სამინისტრო	16
გ) არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი	22
დ) შინაგან საქმეთა სამინისტრო	28
ე) გენერალური პროკურატურა	30
ვ) პრობაციის ეროვნული სააგენტო.....	32
ზ) სპეციალური პენიტენციური სამსახური.....	41
V. ჩალმავებული ინტერვიუები.....	43
ა) ძალადობრივი ქცევა, მისი გამოწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები	43
ბ) სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა	46
<i>განათლებისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემა.....</i>	<i>46</i>
<i>არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი.....</i>	<i>48</i>
<i>განრიდება-მედიაციის და პირობითი მსჯავრის/არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესი.....</i>	<i>49</i>
<i>პენიტენციური სისტემა.....</i>	<i>51</i>
გ) უწყებათაშორისი თანამშრომლობა.....	51
დ) ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობისას არსებული გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.....	58
VI. დასკვნა და რეკომენდაციები	62

I. შესავალი

ბავშვებსა და მოზარდებში ძალადობრივი ქცევა კომპლექსური და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც დეტალურ შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს, როგორც მშობლებისა და, პედაგოგების, ისე სხვა ზრდასრულების თუ პროფესიონალების მხრიდან. ძალადობრივი ქცევა შესაძლოა მოიცავდეს ქმედებათა ისეთ ტიპებს, როგორიცაა ფიზიკური აგრესია, ჩხუბი, მუქარა, იარაღის გამოყენება, ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობა, ცეცხლის გაჩენა, ქონების განზრახ დაზიანება, ვანდალიზმი და სხვა. ძალადობრივი ქცევა შესაძლოა ბავშვებს საკმაოდ ადრეულ ასაკშივე ახასიათებდეთ, თუმცა ხშირად უფროსები ამას სერიოზულად არ აღიქვამენ, რაც ამ ტიპის ქცევას კიდევ უფრო ამძიმებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძალადობრივი ქცევა სერიოზულად იყოს აღქმული მისი გამოვლენის ყველა ეტაპზე და დეტალურად იქნას შესწავლილი ამგვარი ქცევის გამომწვევი მიზეზები.

კვლევები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნებში ძალადობრივი ქცევა შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, როგორიცაა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, სექსუალური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლობა, ოჯახური ძალადობა, გენეტიკური ფაქტორები, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებისთანავე განხორციელდეს ძალადობრივ ქცევასთან დაკავშირებული რისკების შეფასება (როგორიცაა ძლიერი ბრაზი, ფეთქებადობა, მეტისმეტი გაღიზიანება, მომეტებული იმპულსურობა, ადვილად ფრუსტრირება და სხვა) . მშობლებმა, სახელმწიფომ დროულად უნდა დააიდენტიფიციროს არსებული გამოწვევები და მიმართოს შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის თუ სხვა ტიპის სპეციალისტს. ადრეული მკურნალობა და ინტერვენცია უმეტეს შემთხვევაში სასურველ შედეგს იძლევა, ხელს უწყობს ბავშვს უკეთ შეძლოს ბრაზის მართვა, კონსტრუქციული გზით გამოხატოს უკმაყოფილება, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებებზე, მიიღოს და გაუმკლავდეს მისი საქციელით გამოწვეულ შედეგებს. პარალელურად უნდა მოგვარდეს ის გამოწვევებიც, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა შორის ძალადობრივ ქცევას (ოჯახური ძალადობის, სასკოლო კონფლიქტების და სხვა საკითხები).

კვლევები აჩვენებს, რომ რთული ქცევა შესაძლოა შემცირდეს ან სრულად მოხდეს მისი პრევენცია თუ განეიტრალებს მისი გამომწვევი რისკ ფაქტორები. შესაბამისად, აუცილებელია დეტალურად იქნას შესწავლილი არასრულწლოვანთა ძალადობრივი ქცევის გამომწვევი გარემოებები, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების როლი და უწყებების მიერ განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრულობა.

II. მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა სამაგიდე და თვისებრივი კვლევის (ჩაღრმავებული ინტერვიუები) მეთოდების გამოყენებით. კერძოდ:

ა) საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

განხორციელდა იმ საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა და ანალიზი, რომლებიც არეგულირებს ბავშვის უფლებათა დაცვის სტანდარტებს, მართლმსაჯულების და პრევენციული პოლიტიკის განხორციელების წესსა და პროცედურებს.

ბ) ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი

ანალიზის პირველი ნაწილი ეთმობა ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზს, რომელიც არეგულირებს პრევენციულ მიდგომებს, საგანმანათლებლო და სოციალური დაცვის სფეროში. გარდა ამისა, ანალიზი მოიცავს საკანონმდებლო რეგულირებას რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების რეფერირების პროცესის, პროცედურების და სხვადასხვა უწყებების/დაწესებულებების როლის შესახებ. ანალიზის მეორე ნაწილი ეთმობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს, სადაც განხილულია განრიდება-მედიაციის პროგრამა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების და საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესი. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის ფარგლებში შეფასდა შემდეგი უწყებების როლი და ფუნქცია, ძალადობრივი ქცევის მქონე არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო); საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომში - განათლების სამინისტრო); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო); პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი (შემდგომში - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური (შემდგომში - სპეციალური პენიტენციური სამსახური).

გ) საჯარო/სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

განხორციელდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ვებ-რესურსებზე არსებული ინფორმაციის ანალიზი შემდეგი უწყებებიდან - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო; განათლების სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; გენერალური პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო.

დ) ჩაღრმავებული ინტერვიუები/ფოკუს ჯგუფები

წინასწარ შემუშავებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, განხორციელდა რეფერირების პროცესში ჩართული უწყებების წარმომადგენლების, ამ

სფეროს ექსპერტების გამოკითხვა ჩაღრმავებული ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების მეთოდების გამოყენებით, კერძოდ:

- განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, 3 რესპონდენტი;
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, 2 რესპონდენტი;
- პრობაციის ეროვნული სააგენტო - 4 რესპონდენტი;
- არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი, 3 რესპონდენტი;
- განრიდება-მედიაციის პროგრამის პერსონალი, 3 რესპონდენტი;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2 რესპონდენტი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული მოსამართლე, 1 რესპონდენტი;
- ბავშვთა კეთილდღეობის და მართლმსაჯულების სფეროს ექსპერტები, 7 რესპონდენტი.

ჯამში 25 რესპონდენტი.

ე) კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელების პროცესში, სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მოგვეწოდა სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია, რაც აისახება კვლევის საბოლოო შედეგებზე. ჩაღრმავებული ინტერვიუებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა, არ მიიღეს მონაწილეობა ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარების პროცესში.

III. საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს, რომ ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, ის უნდა ეფუძნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს.¹ გარდა ამისა, კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ბავშვის პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა და ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მისი ჩართულობისა და აზრის გამოხატვის უზრუნველყოფა.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებების ინტერპრეტაცია და განმარტება. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ კვლევების განხორციელებას, რომლის საფუძველზეც უნდა ყალიბდებოდეს სახელმწიფო პოლიტიკა. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, პრევენცია და ადრეული ინტერვენციის პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ოჯახების მხარდაჭერაზე, კერძოდ, დაუცველი და ძალადობაში მყოფი ოჯახების მხარდაჭერაზე. კომიტეტი განმარტავს, რომ აუცილებელია რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მხარდაჭერა, რომლებიც ან არ დადიან ან გამორიცხულნი არიან სკოლიდან და არ ამთავრებენ

¹ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3.

საგანმანათლებლო დაწესებულებას; მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა შეიმუშაონ საზოგადოებაზე ორიენტირებული სერვისები და პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდის შესაბამის კონსულტაციებს, მათი ოჯახების სწავლებას და რომლებიც პასუხობს კონკრეტულ მოთხოვნებს, პრობლემებს, გამოწვევებს და ბავშვების ინტერესებს.²

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ქვემოთ მყოფი ბავშვებისთვის ადრეული ინტერვენცია უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური რეაგირების ფარგლებში. კომიტეტის განმარტებით, აუცილებელია მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერვენციის პროგრამების შემუშავება მოხდეს ისე, რომ ასახოს არა მხოლოდ ამგვარი სარისკო ქცევის გამომწვევი მიზეზების ფსიქოლოგიური ანალიზი, არამედ გადაიდგას ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება მოზარდის დამცავი ფაქტორების გამოვლენასა და გაძლიერებაზე. ინტერვენციებს წინ უნდა უძღოდეს ბავშვის საჭიროებების ყოვლისმომცველი და ინტერდისციპლინარული შეფასება.³

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ყურადღებას ამახვილებს მშობლების პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ბავშვის აღზრდის პროცესში.⁴ თუმცა, ამავდროულად კონვენცია მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა დახმარება გაუწიონ მშობლებს ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობის განხორციელებაში. სახელმწიფო უწყებებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებასა და ოჯახზე ორიენტირებული პრევენციის პროგრამების ხელმისაწვდომობას, რომლებიც ხელს უწყობს მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობებს, სკოლებთან პარტნიორობას, თანატოლებს შორის დადებითი ურთიერთობების გაუმჯობესებასა და კულტურულ და გასართობ აქტივობებს.⁵ კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ არცერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი.⁶

გაეროს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის („რიალის წესები“) შესახებ ადგენს იმ პრინციპებს, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა. მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმები უნდა მოიცავდეს:

- პრობლემის სიღრმისეულ ანალიზსა და ხელმისაწვდომი პროგრამების, სამსახურების, საშუალებებისა და რესურსების ჩამონათვალს;
- კარგად გაწერილ პასუხისმგებლობებს კომპეტენტური სააგენტოების, დაწესებულებებისა და პერსონალისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან პრევენციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;
- სამთავრობო და არასამთავრობო სააგენტოებს შორის პრევენციული საქმიანობის/მექანიზმების კოორდინაციის საკითხებს;

² გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N24.

³ იქვე, პუნქტი 11.

⁴ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 18, 27.

⁵ გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N24.

⁶ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 16.

- პოლიტიკას, პროგრამებსა და სტრატეგიებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება პროგნოზულ კვლევაზე და მუდმივად მოხდება მათი მონიტორინგი და ჯეროვანი შეფასება განხორციელების პროცესში”.⁷

„რიადის წესებში“ ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა დაგეგმილ და განხორციელებულ უნდა იქნეს დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული პროგრამების სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად შესწორების საფუძველზე⁸.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო წესები⁹ ხაზს უსვამს, რომ ჩარევები უნდა დაიგეგმოს დანაშაულის სახეების, გამომწვევი მიზეზების, რისკ-ფაქტორებისა და შედეგების სისტემატური ანალიზის საფუძველზე. პრევენციის გეგმამ უნდა ასახოს ადგილობრივ კონტექსტზე და სპეციფიკურ პრობლემატიკაზე მორგებული ღონისძიებები, რომლებიც იქნება ეფექტიანი და მდგრადი, ხოლო განმახორციელებელმა უწყებებმა უნდა იმუშავონ გამომწვევ მიზეზებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე¹⁰.

„რიადის წესების“ თანახმად, პრევენციის პოლიტიკა და პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვთა კეთილდღეობაზე ადრეული ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკს მიღწევამდე. პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისას განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ყველა ბავშვის წარმატებული სოციალიზაციისა და ინტეგრაციისკენ ოჯახის, თემის, სკოლისა და მედიის ჩართულობით¹¹. ამ კუთხით ოჯახებს, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა სტაბილურობის აღსადგენად, უნდა მიეწოდოთ შესაბამისი მომსახურებები¹².

განათლების სისტემამ განათლების მიწოდებასთან ერთად განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართოს შემდეგ საკითხებზე¹³:

- შეიმუშავოს და დანერგოს სპეციალური პრევენციული პროგრამები და სასწავლო მასალები, მიდგომები და მეთოდები;
- შეიმუშავოს სტრატეგიები ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გამოყენების პრევენციისთვის;
- სკოლა უნდა მოქმედებდეს, როგორც რესურსების და რეფერირების ცენტრი სამედიცინო, საკონსულტაციო და სხვა სერვისების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების, ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლებისთვის;
- განსაკუთრებული დახმარება უნდა გაეწიოთ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ გაკვეთილებზე დასწრება და ხშირად აცდენენ სკოლას;

⁷ გაეროს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), III თავი.

⁸ იქვე, პუნქტი 48.

⁹ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებულია 2002 წელს.

¹⁰ იქვე მუხლი 22.

¹¹ გაეროს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის („რიადის წესები“) შესახებ, პუნქტი 10-44.

¹² იქვე, პუნქტი 13.

¹³ იქვე, პუნქტი 20-31.

- სკოლების შინაგანაწესი და პოლიტიკა უნდა იყოს სამართლიანი და მონაწილეობითი, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ჩაერთონ დისციპლინის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თემზე დაფუძნებული სერვისები და პროგრამები უნდა პასუხობდეს ბავშვთა სპეციალურ საჭიროებებს, პრობლემებს, ინტერესებს და სთავაზობდეს მათ კონსულტაციასა და ინფორმაციას, მათ შორის¹⁴ ფინანსურ და სხვა სახის მხარდაჭერას; ხელს უწყობდეს ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნასა და გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა პროექტების განხორციელებით. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ და აუცილებელი მომსახურებები მიაწოდონ ქუჩაში მყოფ ბავშვებს. ასევე, რეკრეაციული მომსახურებები უნდა შეიქმნას და გახდეს ხელმისაწვდომი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის მათი ინტერესების შესაბამისად.

„რიადის წესების“ თანახმად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შემდეგი ზომები¹⁵:

- შეიმუშავოს ეფექტური კანონმდებლობა ძალადობის, ექსპლუატაციისა და ბავშვთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის პრევენციისთვის;
- შექმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განახორციელებს ბავშვის უფლებების რეალიზების, მათ შორის, რიადის წესების აღსრულების მონიტორინგს;
- შექმნას მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური კოორდინაციის მექანიზმები ეკონომიკური, სოციალური, განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების უწყებების, ასევე, ახალგაზრდების, თემების და განვითარების სააგენტოების მონაწილეობით;
- ჩაატაროს კვლევები ბავშვთა და ახალგაზრდათა შორის დანაშაულის პრევენციის ეფექტური პროგრამების შესამუშავებლად.

საერთაშორისო სტანდარტები ასევე ხაზს უსვამს, რომ საჭიროა მთავრობამ თავისი პროგრამების მუდმივ ნაწილად აქციოს პრევენცია შემდეგი კომპონენტების განხორციელებით: საკოორდინაციო და რესურს ცენტრების შექმნა; დანაშაულის პრევენციის გეგმა; უწყებათაშორისი კოორდინაცია და სამოქალაქო ორგანიზაციებთან პარტნიორობა. ნებისმიერი სახის ინტერვენცია უნდა დაიგეგმოს დანაშაულის სახეების, გამომწვევი მიზეზების, რისკ-ფაქტორების და შედეგების სისტემატური ანალიზის საფუძველზე. პრევენციის გეგმამ უნდა ასახოს ადგილობრივ კონტექსტზე და სპეციფიკურ პრობლემატიკაზე მორგებული ღონისძიებები, რომლებიც იქნება ეფექტიანი და მდგრადი, ხოლო განმახორციელებელმა უწყებებმა უნდა იმუშავონ გამომწვევ მიზეზებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე¹⁶.

საერთაშორისო სტანდარტებში, მართლმსაჯულების სისტემის კონტექსტში, ბავშვებთან მოპყრობის ნაწილში აღნიშნულია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს განრიდების მექანიზმის გამოყენებას, დანაშაულების დიაპაზონი უნდა იყოს რაც შეიძლება ფართო და შესაძლოა ითვალისწინებდეს მძიმე დანაშაულებსაც¹⁷. თუმცა, თუკი ფორმალური საქმისწარმოება

¹⁴ იქვე, პუნქტი 32-39.

¹⁵ იქვე, პუნქტი 52-66.

¹⁶ მიერ მიღებული დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო წესები, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 2002 წელი, პუნქტი 22.

¹⁷ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N24, პუნქტი 16.

დაიწყება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა იძლეოდეს სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენების ვრცელ შესაძლებლობებს. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეთ პრობაციის სამსახური ან მსგავსი ორგანო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება გადამზადებული პერსონალით, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვნებზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.¹⁸

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს, რომ პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს გამოყენებული, როგორც უკიდურესი ზომა¹⁹. თუმცა, ამ ზომის გამოყენების შემთხვევაში, პენიტენციურმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრების საჭიროებებზე მორგებული „განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური, ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები“²⁰. ყველა ბავშვს, პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა ჰქონდეს განათლების მიღების უფლება, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საჭიროების შემთხვევაში, ყოველი ბავშვი უნდა გადიოდეს პროფესიული განათლების ტრენინგებს, რაც დაეხმარება მათ მომავალ დასაქმებაში.²¹

IV. ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა) სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - ჯანდაცვის სამინისტრო) არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.²²

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო არის ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან ურთიერთობასთან. სააგენტოს მიზანს წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის

¹⁸ იქვე, პუნქტი 19.

¹⁹ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37.

²⁰ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 4 (2).

²¹ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N24, პუნქტი 95.

²² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის დადგენილება #473, ზოგადი დებულებები, მუხლი 1.

განხორციელება, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სექსუალური ხასიათის ძალადობის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია, შშმ პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა.²³ სააგენტოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასევე ბავშვის ძალადობრივი ქცევის თაობაზე შეტყობინების ან ამ ტიპის ქცევის სხვა გზით იდენტიფიცირებისას ბავშვთან და ოჯახთან მუშაობა.

სახელმწიფო პროგრამები

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამით, რომელიც მთავრობის დადგენილებით არის დამტკიცებული²⁴, განსაზღვრულია პროგრამები, რომლებიც მოიაზრებს ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვთან მუშაობის შესაძლებლობას, როგორც ოჯახში, ასევე მინდობით აღზრდაში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და დღის ცენტრებში. ეს პროგრამა სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ერთად, მოიაზრებს მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით, ასევე სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებაში მცხოვრები ან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას. პროგრამა მოიცავს, როგორც პრევენციულ, ისე მხარდაჭერით ქვეპროგრამებს რთული ქცევის მქონე ბავშვებისთვისაც. პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 53 550 000 ლარს. აღნიშნული პროგრამის ქვეპროგრამებია:

- ✓ **დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**, რომლის მიზანია 6-დან 18 წლამდე ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერება, სოციალური ინკლუზია, რთული ქცევის მართვა და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. ამ ქვეპროგრამის ბენეფიციართა შორის არიან ანტი-სოციალური და რთული ქცევის მქონე 8-18 წლის მოზარდები.
- ✓ **დღის ცენტრები 6-18 წლის ბავშვებისთვის** არის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია ოჯახისა და ბავშვის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სოციალური ინკლუზია, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველებთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ერთად, ქვეპროგრამა ვრცელდება მიუსაფარ ბავშვებზეც და გულისხმობს შაბათ-კვირის გარდა, სამუშაო დღეებში 6 საათიან მომსახურებას.
- ✓ **ანტი-სოციალური და რთული ქცევის მოზარდების დღის ცენტრით მომსახურების კომპონენტი** გულისხმობს კვირაში სამჯერ 3 საათიან მომსახურებას, რომლის მიზანია სასიცოცხლო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. სოციალური უნარების გაძლიერებაში მხარდაჭერა. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან ანტი-სოციალური და რთული ქცევის მქონე 8-18 წლის მოზარდები, რომლებიც არიან „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მოსარგებლები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში, ასევე „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მოსარგებლები, რომელთაც არ აქვთ საშუალო და ღრმა გონებრივი ჩამორჩენა.

²³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N58, სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2.

²⁴ საქართველოს მთავრობის #558 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

- ✓ **სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ფსიქოსოციალური კონსულტირების მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი** გულისხმობს მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეფასების შედეგად ჩარევის გეგმის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება ბავშვის საჭიროებების შესაბამისად, თერაპიული ვიზიტების რაოდენობა. მომსახურების გაწევის მიზანია ბავშვის განვითარების სფეროების სტიმულირება, ემოციური და ქცევითი პრობლემების მართვა და ფსიქიკური აშლილობების პრევენცია; კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც სასამართლოს მიერ ბიოლოგიური ოჯახებისაგან განცალკევებულები არიან მინიმუმ 3 თვის ვადით, თავსდებიან სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებაში და ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებულია მათი პირველადი შეფასება.
- ✓ **მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა** მიზნად ისახავს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში 21 წლამდე ბავშვის/ახალგაზრდის განვითარების ხელშეწყობას, მის ინდივიდუალურ განვითარებას, საჭიროებებზე ორიენტირებულ ზრუნვას, ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას, ყოფითი უნარების სწავლებას, პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნას, აკადემური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობას. კომპონენტით სარგებლობისთვის საჭიროა მინდობით აღზრდელისა და აღსაზრდელის თანხმობა.
- ✓ **მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის** მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განთავსების გზით ოჯახთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა, მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და საშუალო განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით. ასევე, ანტისოციალური და დელიქვენტური ქცევების მქონე მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნების რეაბილიტაცია და სოციალიზაციის ხელშეწყობა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი; სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და უნარების აღმოჩენასა და გაძლიერებაზე.
- ✓ **მცირე საოჯახო ტიპის სახლებში** მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განთავსების გზით ოჯახთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა, მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და საშუალო განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით. ასევე, ანტისოციალური და დელიქვენტური ქცევების მქონე მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნების რეაბილიტაცია და სოციალიზაციის ხელშეწყობა. მომსახურების სამიზნე ჯგუფს სხვა ბენეფიციარებთან ერთად განეკუთვნებიან: ბავშვთა სააღზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ შორის, შშმ ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება; ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები. კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს: 24-საათიანი მომსახურების მიწოდებას მცირე საოჯახო ტიპის სახლში. სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის

უზრუნველყოფა, მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და საშუალო განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით. ასევე, ანტისოციალური და დელინქენტური ქცევების მქონე მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნების რეაბილიტაცია და სოციალიზაციის ხელშეწყობა. კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება ანტისოციალური და დელინქენტური ქცევების მქონე 8 წლიდან 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნები, რომლებიც სოციალური მუშაკის რეკომენდაციის საფუძველზე, შეფასებული არიან მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და აქვთ დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ დადებითი დასკვნა, არასრულწლოვანს აქვს ანტისოციალური ქცევა, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ფსიქოსოციალურ განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს, სისტემატურად ვლინდება რთული ქცევა არანაკლებ 6 თვის განმავლობაში და სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებას, სადაც ირიცხება არასრულწლოვანი, ქცევის მართვის სირთულეების გამო არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს ასეთ ქცევას. მულტიდისციპლინური გუნდი ფუნქციონირებს ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში. კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში, ერთ სახლში შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს 3 მოსარგებლის განთავსება.

- ✓ **მობილური ჯგუფით მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი** ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიებაა, რომლის მიზანია მიუსაფარ ბავშვთა მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, ასევე, უსაფრთხო საცხოვრებლით (თავშესაფრით) უზრუნველყოფა. კომპონენტის ღონისძიებებია: მობილური ჯგუფის (ფსიქოლოგი, მძღოლი, თანასწორ-განმანათლებელი) მომსახურებით საჭიროების შემთხვევაში – ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზება, ბავშვის პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა და მისი დაცვის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური მომსახურება, ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოძიება/მოწესრიგება, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს შეფასება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებების შეფასების მიზნით მეურვეობა-მზრუნველობის სოციალურ მუშაკთან ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალურ მუშაკთან გადამისამართება.

კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირებული 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები, ასევე ამ კომპონენტის მოსარგებლები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, იღებენ ზოგად განათლებას და არიან არასრული საშუალო ან საშუალო განათლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები.

- ✓ **მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის** მიზანია მიუსაფარ ბავშვთა მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, ასევე, უსაფრთხო საცხოვრებლით (თავშესაფრით) უზრუნველყოფა. კომპონენტის ღონისძიებებია: დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ მომსახურებას ორჯერადი კვებით, საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, ასევე ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზებას, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობას, ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას/ორგანიზებას და სხვა. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან შესაბამისი

უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირებული 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები.

- ✓ **მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფრით მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტის** მიზანია მიუსაფარ ბავშვთა მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, ასევე, უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირებული 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვი.
- ✓ **მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამის** მიზანია სახელმწიფო ზრუნვის, 24-საათიანი სხვადასხვა მომსახურებიდან არასრულწლოვნების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება და ოჯახის გაძლიერება. ქვეპროგრამის ღონისძიებებია ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფა, ბავშვის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, ბიოლოგიური ოჯახის მხარდაჭერა, კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განხორციელება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფო ზრუნვის სისტემის სხვადასხვა მომსახურებებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებული 18 წლამდე ასაკის ბავშვი.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად,²⁵ ირკვევა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები შემთხვევებზე მუშაობისას იყენებენ შემთხვევის მართვის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც ხდება ბავშვთან და ოჯახთან დაკავშირებული სხვადასხვა საჭიროების იდენტიფიცირება, მათ შორის ფსიქოლოგიური, სოციალური და ქცევითი კეთილდღეობის რისკების შეფასება. სოციალური მუშაკი განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე ბავშვის პრობლემას და აფასებს მის საჭიროებებს. შემთხვევის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, იწყებს ბენეფიციართან მუშაობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მხარდამჭერ შესაბამის სპეციალისტთან ან უწყებასთან გადამისამართებას, ბენეფიციართან შეთანხმებით ადგენს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას და მოქმედებს მის შესაბამისად, საზოგადოებაში მისი სოციალური კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით და მონიტორინგს უწევს არასრულწლოვნის მდგომარეობას. ამასთან, სოციალური მუშაკი მხარს უჭერს ბენეფიციარის შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას, ხელს უწყობს მის თვითრეალიზაციას და საკუთარი ინტერესების დაცვის უნარის გაუმჯობესებას. სოციალური მუშაკი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის საფრთხის თავიდან აცილებას და ემსახურება ბენეფიციარის საზოგადოებაში ინტეგრაციას. გარდა ამისა, სააგენტოში დასაქმებული ყველა ფსიქოლოგი, ძალადობის სხვა შემთხვევებთან ერთად, მუშაობს ძალადობაგანცდილ ბავშვთან და ოჯახთან. სააგენტო ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მშობლისგან განცალკევების შემთხვევაში, უზრუნველყოფის მისი სახელმწიფო ზრუნვის სერვისებში - მინდობით

²⁵ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, 2024 წლის 24 ივლისი, N SCA72400793122 წერილი.

აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებას. ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს შეუძლიათ ისარგებლონ სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი) მომსახურებებით, სადაც დასაქმებულნი არიან სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და იურისტები. ისინი ფლობენ უნარებს და პროფესიულ ცოდნას, რომელიც განაპირობებს ეფექტური სერვისის მიწოდებას. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვნებს მათი უფლებების დაცვის მიზნით, ეძლევათ სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობა და ხორციელდება მათი უსაფრთხოებისათვის საჭირო პროცედურები.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში ხშირია ძალადობრივი ქცევა, რასაც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს მათი გამოცდილება - ისინი ხშირად თავად არიან ძალადობის მსხვერპლები, ან თვითმხილველები. თუ არასრულწლოვანს აქვს მწვავედ გამოხატული ძალადობრივი ქცევა, იზიანებს საკუთარ თავს, ან აზიანებს ნივთებს, პირველ რიგში, ხორციელდება მუშაობა კონტაქტის დამყარებასა და ნდობის მოპოვებაზე. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მუშაობს მობილური ჯგუფი, რომელიც შედგება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და თანასწორ განმანათლებლისგან (რომელსაც ასევე აქვს ქუჩაში ცხოვრების ან მუშაობის გამოცდილება). თუ მდგომარეობა კრიტიკულია ან სახეზეა თვითდაზიანება, ან მავნე ნივთიერებების და მედიკამენტების ზედოხირების შემთხვევა, ხორციელდება ზარი 112-ზე. თუ მდგომარეობა შედარებით მსუბუქია, არასრულწლოვანთან ნდობის დამყარების შემდეგ მუშაობა მიმდინარეობს როგორც მიკრო, ისე მეზო დონეზე. არასრულწლოვანს შეეთავაზება ფსიქოლოგის მომსახურება, ფსიქოთერაპია, ქცევის თერაპია, გადამისამართება არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ან მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. მავნე ნივთიერებების მოხმარების შემთხვევაში, გადამისამართება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებში. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია კონსულტირება და ტრენინგები ისეთ საკითხებში, როგორცაა ბრაზის მართვა, კონფლიქტების კონსტრუქციული გზით მოგვარება, ძალადობის იდენტიფიცირება, თავდაცვითი ქცევა, მავნე ნივთიერებების ავადმომხმარება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ. ამასთან, სხვადასხვა ჯგუფური აქტივობების ან სპორტული წრეების შეთავაზებით ხელი ეწყობა თანატოლებთან პოზიტიურ კომუნიკაციას. მნიშვნელოვანია ბავშვის გარემოცვასთან, როგორც ოჯახთან, ისე მეგობრებთან და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობა. ასევე, არასრულწლოვნის ქცევის მართვაში დახმარებისთვის მშობლისთვის ფსიქოლოგთან კონსულტაცია და დახმარების გაწევა პოზიტიურ მშობლობასთან დაკავშირებით. როგორც წერილშია აღნიშნული, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან. აღნიშნული უწყებიდან სააგენტოში მუდმივად ხდება ძალადობის შესახებ შეტყობინება. ამასთან, სააგენტოს მიერ ქცევითი თავისებურებების/ანტი-სოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ხდება შემთხვევის გადამისამართება არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, შერჩეულ სერვისში/პროგრამაში ჩართვის მიზნით. წერილიდან ირკვევა, რომ სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებებიდან 2022 წელს რეფერირების ცენტრში გადამისამართდა 15 არასრულწლოვანი, აქედან 6 მდედრობითი და 9 მამრობითი, რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 1 ათ წლამდე, 8 ათიდან თოთხმეტ წლამდე და 6 თოთხმეტიდან

თვრამეტ წლამდე, 2023 წელს კი რეფერირების ცენტრში გადამისამართდა 10 ბავშვი, აქედან 4 მდედრობითი და 6 მამრობითი, 7 მათგანი 10-14 წლამდე და 3 კი 14-18 წლამდე. 2024 წლის პირველ ნახევარში გადამისამართდა 7 ბავშვი, 4 მათგანი 10-14 წლამდე და სამი 14-18 წლამდე.

ბ) განათლების სამინისტრო

განათლების სამინისტრო წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს. რაც შეეხება განათლების სამინისტროს საქმიანობას ძალადობრივი ქცევის მქონე არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, მართალია მხოლოდ ამ მიზნობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი ნორმები ცალკე განსაზღვრული არ არის, თუმცა მოქმედებს მთელი რიგი რეგულაციები, რომლებიც მოიაზრებს უწყების მიერ ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის დაფარვას და გულისხმობს, როგორც პრევენციულ საქმიანობას, ასევე რთული ქცევის შემთხვევებზე რეაგირებას. პრევენციის მიმართულებით, აღსანიშნავია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, რომლებიც შესაძლოა მოიაზრებდეს ბავშვებში ძალადობრივი ქცევის პრევენციასაც. კერძოდ, ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა, არაფორმალური განათლება, გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური აქტივობის ხელშემწყობი სპორტული და გასართობი ღონისძიებები, სასკოლო ან შრომით ვალდებულებებსა და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ღონისძიებები, საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამები, ბავშვთა დასვენების პროგრამები, ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამები, კულტურული და სახელოვნებო პროგრამები, წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები და სხვა.²⁶

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფლებამოსილებებს, ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია დაუკავშირდეს „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მანდატური/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლეებისგანცალკევებას, მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, ამისამართებს მოსწავლეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.²⁷

ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა ასევე ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში. შეფასებისას დაცული უნდა იყოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობა. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის სკოლის მიერ ძალადობის

²⁶ ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 28 (4).

²⁷ განათლების მინისტრის #06/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 24.

პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი.

მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ: მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან ან სოციალურ მუშაკთან სატელეფონო კონსულტაციით, ონლაინკონსულტაციით, ასევე ინტერნეტპორტალის – befriend.mes.gov.ge საშუალებით. ონლაინკონსულტაცია და მობილურ ტელეფონთან თავსებადი ვებგვერდი უნდა იძლეოდეს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობას. ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, აძლევს განმარტებებს ამ მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას.²⁸

გარდა ამისა, ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ ან მის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას. თუ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებული არიან დაადგინონ ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბრონ ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინონ წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაონ პრობლემის მოგვარების გზები. დაუშვებელია ბულინგის/კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება, დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული ბულინგის ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის/მობილური ჯგუფის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას. მანდატური/უფლებამოსილი პირი, ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.²⁹

მოსწავლის დესტრუქციული ქცევაა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, ასევე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, მანდატურისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა. თუ მოსწავლე ამა თუ იმ ფორმით ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, არ ითვალისწინებს

²⁸ იქვე, მუხლი 8-9.

²⁹ იქვე, მუხლი 27.

მასწავლებლის შენიშვნებს, მასწავლებელი ვალდებულია მაქსიმალურად შეეცადოს მის სასწავლო პროცესში ჩართვას. თუ ვერ მოხერხდა მოსწავლის ქცევის დარეგულირება, მასწავლებელი იძახებს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და მოსწავლეს მათი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს. დაუშვებელია საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების ჯგუფურად გაშვება. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ფაქტის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. გაკვეთილის დასრულებამდე/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოვლამდე მოსწავლე უნდა იმყოფებოდეს უფლებამოსილი პირის/სკოლის ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, მანდატურისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სკოლის შენობას დატოვებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე, კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112“-ს. მანდატური/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით. მანდატური/უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის ფაქტის იგნორირება. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება. მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც. თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ სკოლაში არ დადის, სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი

სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის. ის ასევე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მონაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს, უზრუნველყოს მოსწავლის მდგომარეობის შეფასება კითხვარის გამოყენებით, შეფასების საფუძველზე, გადაამისამართოს მოსწავლე მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.³⁰

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მანდატურის ფუნქციებია სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.³¹

კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის კანონიერი მითითებები. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენისა და ამის გამო მოსწავლის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შეატყობინოს მოსწავლის მშობელსა და სკოლის დირექტორს. მოსწავლის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება, რომლის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან/და სკოლის

³⁰ იქვე, მუხლი 29-30.

³¹ იქვე, მუხლი 2.

თანამშრომლის ინიციატივით. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების უფლება აქვს იმავე სქესის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ იმავე სქესის საამისოდ უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის პირი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას უნდა ესწრებოდეს აგრეთვე სკოლის თანამშრომელი. კოლექტიური უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება დაუშვებელია. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის მშობელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებამდე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულმა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა მოსწავლე უნდა გააფრთხილოს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ. თუ მოსწავლე წარმოადგენს ან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს იმგვარ, სავარაუდოდ, კანონსაწინააღმდეგო ნივთს/საგანს, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სამართალდამცავ ორგანოს. აღმოჩენილ ნივთს/საგანს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი გადასცემს მოსწავლის მშობელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგანის ხასიათის გათვალისწინებით.

მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ნივთის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგის ან/და სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ისეთ მიზნებს, როგორცაა მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისკის შემცირება და მოსწავლის/მოსწავლეების ქცევის მართვა. მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს. მოსწავლის მშობლის ან მოსწავლის მშობლის მიერ განსაზღვრული პირის სკოლაში გამოცხადებამდე. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილ პირს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად განათლების სამინისტროდან გვაცნობეს³², რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი ტიპის ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირება ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად. გამოვლენილი ძალადობის/სავარაუდო ძალადობის დროს, მანდატური ფაქტის შესახებ მოიძიებს ინფორმაციას ფაქტთან დაკავშირებული პირებისაგან (მათ შორის მოსწავლეებისაგან), მომხდართან დაკავშირებით აცნობებს სკოლის დირექციას/ადმინისტრაციას, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ქმედების ხასიათიდან გამომდინარე ინფორმაციას აწვდის სამართალდამცავ ორგანოს. მოსწავლის ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა მოსწავლე გადამისამართდეს შესაბამისი მომსახურების მისაღებად. ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მიხედვით, მანდატური ვალდებულება დაიცვას კონფიდენციალურობა, არ დაუშვას მოსწავლესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

როგორც ამავე წერილიდან ირკვევა, მანდატურის სამსახურის მიერ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში 2022-2024 წლებში ჯამში გადამისამართდა 57 მოსწავლე, წლების მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები მოთხოვნის მიუხედავად მოწოდებული არ ყოფილა.

წერილში განმარტებულია, რომ მანდატურის სამსახურში არასრულწლოვანების შეფასებას ახორციელებენ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები. სპეციალისტები არასრულწლოვანის შეფასების პროცესში აფასებენ არასრულწლოვანის ქცევის პატერნებს, მათ შორის დესტრუქციული და ძალადობრივი ქცევას, დანაშაულებრივი ქცევის რისკს და საჭიროების შემთხვევაში ავსებენ მიმართვის ფორმას რომლითაც მიმართავენ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს.

მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოსოციალურ უსაფრთხოებას, აღნიშნული ქცევის იდენტიფიცირებას ახდენს სკოლაში განაწილებული მანდატური შესაბამისი მიმართვის ან დაკვირვების საფუძველზე, ასევე სკოლაში განაწილებული სოციალური მუშაკი, რომელიც მოწყვლადობის განმსაზღვრელი ინდიკატორების მეშვეობით დამრიგებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოკვეთს რისკებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს რელევანტურ უწყებას მათ შორის არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს.

მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში მუშაობს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით როგორცაა, მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა, ბულინგის პრევენცია, სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა და ა.შ. აღნიშნული შესაძლებელს ხდის სკოლაში მოსწავლეზე

³² განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრის 06.06.2024, #MES 3240000631624 წერილი.

ორიენტირებული, უსაფრთხო, ჩართულობითი (ინკლუზიური) გარემოს ჩამოყალიბებით გაუმჯობესდეს მოსწავლის სწავლის ხარისხი.

სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: დესტრუქციული და ძალადობრივი ქცევის ამოცნობა და პრევენცია; ქცევა და ქცევის მართვის სტრატეგიები; ბავშვის უფლებები და დისკრიმინაციის პრევენცია; ბულინგის პრევენცია; 13 წლამდე მოსწავლეებისთვის პროგრამა-მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით „ცოცხალი შესრულებით, ანუ, ფონოგრამის გარეშე“; 13 წლის ზევით მოზარდებისთვის „სარისკო ქცევების პრევენცია“; სასიცოცხლო უნარების განვითარების პროგრამა (მე-4, მე-5, მე-6, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის).

მანდატურის სამსახური ძალადობრივი ქცევის თითოეულ იდენტიფიცირებულ შემთხვევაზე ახდენს რეაგირებას, იწყებს ინდივიდუალური შემთხვევის შეფასებას და მომსახურების გეგმის განსაზღვრას, რომლის მეშვეობითაც იგეგმება ინტერვენციის პროცესი, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენს რეფერირებას და თანამშრომლობს ბენეფიციართან დაკავშირებულ სუბიექტებთან. ბენეფიციართან მუშაობისას იყენებს მულტიდისციპლინურ და მულტიუწყებრივ მუშაობის პრინციპებს.

მანდატურის სამსახური „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად თანამშრომლობს: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო ზრუნვისა სააგენტოსთან, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, სხვა ორგანიზაციებთან.

მანდატურის სამსახურის განმარტებით, ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვის იდენტიფიცირების შემთხვევაში სამსახური აწვდის ინფორმაციას და აქტიურად თანამშრომლობს არასრულწლოვნის ოჯახის წევრებთან, აწვდის მათ ფსიქოსოციალურ მომსახურებას სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურების სახით, რომელიც მოიცავს მათ ფსიქოსოციალურ კონსულტირებას, ფსიქოგანათლებას, გაძლიერებასა და მხარდაჭერას.

გ) არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი

2020 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა №681 დადგენილება არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ნორმატიული აქტით დარეგულირდა რთული ქცევის მქონე ბავშვთა რეფერირების პროცესი და ტრაექტორია. აღნიშნული ნორმატიული აქტი, არ რეგულირებს ცალკე ძალადობრივი ქცევის მქონე არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებებს, წარმოდგენილი რეგულაციები ზოგადი ხასიათისაა და მათ შორის ვრცელდება ამ კატეგორიის ბავშვებზეც.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროცესის მენეჯმენტის ფუნქცია დაეკისრა - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს, რომელიც არის პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული. პრობაციის ეროვნული სააგენტო თავისი მიზნების მისაღწევად საქმიანობას ახორციელებს - *რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციისა და რეაბილიტაციის სერვისებისა და პროგრამების უზრუნველყოფითა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციით.*

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი თავისი მიზნისა და ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილია: მოახდინოს რთული ქცევის მოზარდების იდენტიფიცირება; მოითხოვოს, მიიღოს და დაამუშავოს რთული ქცევის მოზარდების შესახებ საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი პირისგან; შეაფასოს არასრულწლოვნის მდგომარეობა, ინდივიდუალური საჭიროებები, ფსიქო-სოციალური და სხვა ფაქტორები; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით განავითაროს და განახორციელოს შესაბამისი სერვისები/პროგრამები; უზრუნველყოს არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში გადამისამართება ან/და სერვისების მიწოდება; უზრუნველყოს არასრულწლოვნის ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდამჭერ სერვისებში/პროგრამებში გადამისამართება/ჩართვა და ხელი შეუწყოს ასეთი სერვისების/პროგრამების განვითარებას; განახორციელოს შესაბამისი სერვისის/პროგრამის დასრულების შემდგომი მონიტორინგი; არასრულწლოვნისა და მისი ოჯახისათვის მიწოდებული სერვისებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით განახორციელოს სერვისის მიმწოდებელი პირების, საჯარო დაწესებულებების და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მონიტორინგი; გააფორმოს არასრულწლოვანთა რეფერირებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები; საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნა; უზრუნველყოს არასრულწლოვნის რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, აღსრულებასა და გადასინჯვასთან, აგრეთვე, რეფერირების პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია³³.

არასრულწლოვანთა რეფერირების წესის მიზანია - რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით. განსაზღვრულია **რთული ქცევის დეფინიცია**, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად - *„ქცევა, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს არასრულწლოვნის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, მის ჰარმონიულ და სოციალურ განვითარებას, სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან/და მართლწესრიგს. რთული ქცევა შესაძლებელია გამოხატული იყოს არასრულწლოვნის მიერ ნარკოტიკული საშუალების/ალკოჰოლის მოხმარებაში, მისი ჩართულობით ანტისაზოგადოებრივ, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში, აზარტულ თამაშებში, სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებში“³⁴*

ამ დადგენილებით, არასრულწლოვანად მიიჩნევა - **7-დან 18 წლამდე ასაკის პირი**. ეს წესი ვრცელდება შემდეგ კატეგორიებზე და ასაკობრივ ჯგუფებზე:

- რთული ქცევის მქონე **10-დან 18 წლამდე** ასაკის არასრულწლოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი, ან მის მიმართ

³³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N485, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 16 (3).

³⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №681 არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.

დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა;

- **7-დან 14 წლამდე** ასაკის იმ არასრულწლოვნებზე, რომლებთან მიმართებაშიც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.³⁵

აღნიშნული ჩანაწერით იკვეთება, რომ რთულ ქცევად განიხილება, როგორც არასრულწლოვნის გარკვეული სახის სარისკო ქცევები, ასევე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესში ჩართული არიან შემდეგი უწყებები:

- არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი;
- გენერალური პროკურატურა/ შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შინაგან საქმეთა სამინისტრო/გენერალური პროკურატურა - ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მიხედვით ახდენენ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

- ჯანდაცვის სამინისტრო;
- განათლების სამინისტრო;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები;³⁶

ჯანდაცვის სამინისტრო/კულტურის სამინისტრო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები - ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მიხედვით ახდენენ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას; უზრუნველყოფენ რეფერირების მექანიზმის ეფექტიანობისთვის საჭირო სერვისების/პროგრამების შემუშავებას და მიწოდებას; მონაწილეობენ ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდამჭერი სერვისების განვითარებაში და თანამშრომლობენ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართულობის მონიტორინგის მიზნით.³⁷

- სპეციალური პენიტენციური სამსახური.³⁸

სპეციალური პენიტენციური სამსახური - ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მიხედვით ახდენს რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას იმ

³⁵ იქვე, მუხლი 2.

³⁶ N681 დადგენილებაში განსაზღვრულია - განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, თუმცა მთავრობის სტრუქტურაში ცვლილებების შესაბამისად, ჩამოყალიბდა ორი სამინისტრო (განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის; კულტურისა და სპორტის) და როგორც ამ უწყების უფლებამონაცვლებს, გააჩნიათ იგივე სახის ვალდებულებები.

³⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება N681 არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4.

³⁸ იქვე.

შემთხვევაში, თუ იგი პენიტენციურ დაწესებულებას ტოვებს პირობითი მსჯავრის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების გარეშე და ნებაყოფლობით არ ერთვება „ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში“.

არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირება და ინფორმაციის ცენტრისთვის მიწოდება;
2. არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება;
3. არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვა ან/და გადამისამართება;
4. ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდაჭერი სერვისების უზრუნველყოფა და განვითარება;
5. სერვისებში/პროგრამებში არასრულწლოვნის მონაწილეობის მონიტორინგი და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელება;
6. სერვისის/პროგრამის დასრულების შემდეგ მონიტორინგის განხორციელება;
7. უკიდურეს შემთხვევაში, არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნა.³⁹

კანონმდებლობის თანახმად, რეფერირების სიტემაში ჩართულ ყველა უწყებას, აქვს ვალდებულება რეფერირების სააგენტოს მიერ შექმნილ სერვისების ერთიან ბაზაში პერიოდულად ასახოს და განაახლოს ინფორმაცია საკუთარი სერვისებისა და მომსახურების შესახებ. აღნიშნული ბაზის ფუნქციაა დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული და პრევენციისთვის საჭირო ყველა მომსახურების შესახებ ინფორმაციის ერთ სივრცეში განთავსება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ასევე ბაზის დინამიური მექანიზმისა და მოქნილი სამიზნო სისტემის განვითარება.⁴⁰

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად⁴¹, 2022, 2023 და 2024 წლის პირველ ნახევარში, სხვადასხვა უწყებიდან არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში, განხორციელდა ძალადობრივი ქცევის მქონე 77 ბენეფიციარის გადამისამართება. აქედან 57 შემთხვევა მართლსაწინააღმდეგო ქცევის, ხოლო 20 სხვა სახის რთული ქცევის გამო. რეფერირების განმახორციელებელი უწყებები შემდეგნაირად განაწილდა:

რეფერირების განმახორციელებელი უწყებები	რაოდენობა
გენერალური პროკურატურა	55
შინაგან საქმეთა სამინისტრო	10
სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	4

³⁹ იქვე, მუხლი 3.

⁴⁰ იქვე, მუხლი 13.

⁴¹ სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმროს სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, 01.07.2024 წლის, № 2/60195 წერილი.

განათლების ფსიქოსოციალური დახმარების ცენტრი	სამინისტროს	მანდატურის	8
--	-------------	------------	---

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად⁴², ძალადობრივი ქცევის გამო გადმომისამართებულ არასრულწლოვანთაგან შვიდი (7) იყო სოციალურად დაუცველი, ხოლო ერთი (1) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. არსებული შემთხვევებიდან არც ერთი არ არის იძულებით გადაადგილებული პირი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე.

კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვნის შეფასების შემდეგ, მასთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც ხდება იმ აქტივობების გაწერა, რაც უნდა განხორციელდეს მოზარდთან მიმართებაში. ხელშეკრულების ხანგრძლივობა შესაძლოა იყოს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 24 თვე.⁴³

საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2022, 2023 და 2024 (I ნახევარი) წლებში, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ხორციელდებოდა შემდეგი სახის ფსიქოსოციალური სერვისები: სოციალური უნარებისა და სოციალური გადაწყვეტილებების პროგრამა; ცხოვრების ჯანსაღი წესი; დანაშაულის გააზრების პროგრამა; ემოციების რეგულაციის პროგრამა; სოციალური და კოგნიტიური უნარების სასწავლო პროგრამა; კომუნიკაციის უნარის განვითარების ტრენინგ მოდული; პიროვნული განვითარების ტრენინგ-მოდული; კომუნიკაციის უნარის განვითარების ტრენინგ-მოდული; ინტერპერსონალური ურთიერთობები - ტრენინგ-მოდული; კრიტიკული აზროვნების განვითარების ტრენინგ მოდული; 7-12 წლამდე ბავშვებისათვის განმავითარებელი აქტივობები „მე და გარემო“ ; ბიბლიოთერაპია; ოჯახის გაძლიერებისა და პოზიტიური აღზრდის პროგრამა (მშობლებისთვის). გარდა ამისა, რეფერირების ცენტრში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, კერძოდ : „ჩემი მომავალი პროცესია“; „საგანმანათლებლო კინოკლუბი“; „ლიტერატურული საღამოები“; „ხელოვანთა სივრცე“; „ანიმაციის ხელოვნება“.

ამავე ინფორმაციის თანახმად, ძალადობრივი ქცევის მქონე არასრულწლოვნებმა ისარგებლეს შემდეგი სახის სერვისებით: სოციალური უნარები და სოციალური გადაწყვეტილებები, სრულად მიეწოდა - 10 ბენეფიციარს, ნაწილობრივ - 5-ს; ცხოვრების ჯანსაღი წესი ნაწილობრივ მიეწოდა - 6 ბენეფიციარს. ფსიქოლოგის კონსულტირების სერვისი სრულად მიეწოდა 4 ბენეფიციარს; ფსიქოლოგის კონსულტირების სერვისი ნაწილობრივ მიეწოდა 12 ბენეფიციარს; სოციალური მუშაკების ჩართულობით გეგმაში გაწერილი აქტივობები სრულად გაიარა 23-მა, ხოლო ნაწილობრივ 10-მა ბენეფიციარმა.

მოწოდებული ინფორმაციით იკვეთება, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს შეთანხმება აქვს დადებული ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან, სადაც საანგარიშო პერიოდში გადამისამართდა 4 ფსიქიკური ჯანმრთელობის

⁴² იქვე.

⁴³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №681 არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 7 (10).

პრობლემების მქონე ბენეფიციარი. გარდა ამისა, 1-1 ბენეფიციარს ანალოგიური სახის მომსახურება გაუწია ასევე ორგანიზაციებმა - „იალქანი“ და „კომპასი“.

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა განმეორებითი რეფერირების სულ 3 შემთხვევაა, აქედან: მომართვის ინიციატორი 1 შემთხვევაში იყო საქართველოს პროკურატურა, ხოლო 2 შემთხვევაში საფუძველი იყო მონიტორინგის ეტაპზე სოციალური მუშაკის მოხსენებითი ბარათი.

მართლმსაჯულების სისტემა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც არეგულირებს პროცესს, მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებთან, ბავშვის პირველი კონტაქტიდან, სასჯელის აღსრულებამდე. ამ კოდექსის ზოგადი მიზანია-არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა; კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.⁴⁴ კანონი ხაზს უსვამს, რომ თავისუფლების შეზღუდვა, როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე სასჯელის აღსრულებისას, უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება მოკლე ვადით და რეგულარულად უნდა ხდებოდეს მისი გადასინჯვა.⁴⁵

არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.⁴⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასახული ეს ჩანაწერი, განსხვავებულია სისხლის სამართლის კოდექსში ასახული სასჯელის მიზნებისგან, სადაც ამ ორი კომპონენტის გარდა, სასჯელის მიზანია ასევე სამართლიანობის აღდგენა.⁴⁷ ეს განსხვავება ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების პროცესში, მართლმსაჯულების ინტერესზე წინ, დგას ბავშვის საუკეთესო ინტერესი და გადაწყვეტილება პირველ რიგში, ამ პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხაზგასმულია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა⁴⁸. კანონი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც სავალდებულოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების

⁴⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 1 (2).

⁴⁵ იქვე, მუხლი 9.

⁴⁶ იქვე, მუხლი 65.

⁴⁷ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 39 (1).

⁴⁸ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 14.

მომზადება: განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; სასჯელის დანიშვნისას; საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას; პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. გარდა ამისა, პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზედაც. ანგარიშებს ამზადებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, გარდა საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დადგეგმვისას, რომელიც მზადდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ.⁴⁹

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვნების სასჯელის სახეებია ჯარიმა; შინაპატიმრობა; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.⁵⁰

დ) შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ასევე სხვა სახის საჯარო ფუნქციებს.⁵¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება მის ქვემდებარეობაში არსებულ საქმეებზე⁵².

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, ასევე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.⁵³ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, პრევენციის მიმართულებით, ცენტრალური ადგილი უჭირავს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს⁵⁴,⁵⁵ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს⁵⁶ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს⁵⁷ ⁵⁸ .

⁴⁹ იქვე, მუხლი 27.

⁵⁰ იქვე, მუხლი 66.

⁵¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N337 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 1.

⁵² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.

⁵³ იქვე, მუხლი. 4.

⁵⁴ იქვე, მუხლი 10 (კ).

⁵⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №103 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3 (ე).

⁵⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №337 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 10 (ლ).

⁵⁷ იქვე, მუხლი 10 (შ).

⁵⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის ფუნქციები: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.⁵⁹ აღნიშნულ დეპარტამენტში საქმიანობას ახორციელებენ გამომძიებლები, დეტექტივ-გამომძიებლები, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლები, დეტექტივები, უზნის ინსპექტორები და მართლწესრიგის ოფიცრები,⁶⁰ რომლებსაც აქვთ გარკვეული როლი და ფუნქცია, როგორც სამართალდარღვევებზე რეაგირების, ასევე პრევენციული მიმართულებით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქცია: საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა, სამართალდარღვევაზე ან სხვა შესაძლო საფრთხეზე რეაგირება, თავიდან აცილება და აღკვეთა. ამ მიზნით, ახდენს დანაშაულის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენას, აღკვეთასა და თავიდან აცილებას; იძულების ღონისძიებების გამოყენებას; დანაშაულის გამოძიებასა და საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებას. ასევე, ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს.⁶¹

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციები: ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; ასევე, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით წინადადებების შემუშავება.⁶²

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად⁶³, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები არაერთ საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრას მართავენ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან და ცენტრის თანამშრომლებთან. შეხვედრის განმავლობაში მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, თანასწორობის მნიშვნელობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. დეპარტამენტის ჩართულობით, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემებზე, მუდმივად ხდება სამართალდამცავების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მ. 6 (ა).

⁵⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N71 შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე, თავი II.

⁶⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება N102 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უზნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრების და ანალიტიკოსების საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე.

⁶¹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4.5.

⁶² საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4.5.

⁶³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 26/04/2-24, N 8 24 01881054 წერილი.


ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პროცესში.⁶⁴ კანონმდებლობის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს: ძალადობის მიზეზების შესწავლას; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას; პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას რისკ-ჯგუფებთან მიმართებაში; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას; ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე პირების (მათ შორის არასრულწლოვანი) მიმართ სპეციალური სარეზილიტაციო პროგრამების განხორციელებას; უწყებათაშორის თანამშრომლობის პროცესს ამ მიმართულებით.⁶⁵

კანონმდებლობა განსაზღვრავს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში.⁶⁶ ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა მონაწილეობენ ასევე სხვა უწყებებიც.

ე) გენერალური პროკურატურა

პროკურატურა არის სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანო. ამ მიზნით, პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და უფლება აქვს, სრული მოცულობით ჩაატაროს დანაშაულის გამოძიება.⁶⁷ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა⁶⁸.

არასრულწლოვნების სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი განსხვავებული იყო ბოლო წლებში განმავლობაში, თუმცა 2023 წელს ამ მონაცემის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. იხილეთ ინფორმაცია წლების მიხედვით⁶⁹:



⁶⁴ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4.

⁶⁵ იქვე, მუხლი 6.

⁶⁶ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 1 (2).

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 32.

⁶⁸ იქვე, მუხლი 166.

⁶⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართალდარღვევების სტატისტიკა. ბმული - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvebis-statistika>

2022-2023 წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლებში პირველ ადგილზე იყო ქურდობის საქმეებზე (სსკ-ის 177-ე მუხლი) დაწყებული დევნა. რაც შეეხება ძალადობრივ ქმედებებს, ძირითადად იყო ძალადობის მუხლით (სსკ-ის 126 მუხლი) და უფრო მცირე შემთხვევებში ყაჩაღობის (სსკ-ის 179-ე მუხლი) მუხლით დაწყებული დევნა.

2022 წელს, უმრავლეს შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არასრულწლოვნების მიმართ დაიწყო ქურდობის მუხლით, სსკ-ის 177- ე მუხლი - 94, მე-2 ადგილზე იყო 126-ე მუხლი (ძალადობა) – 20, მე-3 ადგილზე - 178-ე მუხლი (ძარცვა) – 9. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლები, რომლებიც უკავშირდება ძალადობრივ ქცევას შემდეგნაირად გადანაწილდა:

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	სისხლისსამართლებრივი რაოდენობა	დევნის
126-ე მუხლი (ძალადობა)	20	
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	6	
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	5	
117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	5	
353 ¹ მუხლი (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა)	4	
239-ე მუხლი (ხულიგნობა)	4	
187-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება)	3	
108-ე მუხლი (მკვლელობა)	3	
353-ე მუხლი (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ)	2	
109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში)	2	
138-ე მუხლი (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება)	2	
151-ე მუხლი (მუქარა)	2	
352-ე მუხლი (საქართველოს სახალხო დამცველზე ზემოქმედება)	1	
126 ² მუხლი (ოჯახში ძალადობა)	1	
137-ე მუხლი (გაუპატიურება)	1	
236-ე მუხლი ⁷⁰	1	
116-ე მუხლი (სიცოცხლის მოსპობა გაუფთხილებლობით)	1	
144 ³ მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა)	1	
143 ³ მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა)	1	

⁷⁰ (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება)

სხვა (არაძალადობრივი)	116
დანაშაულთა ერთობლიობა	161
სულ	342

2023 წელს, უმრავლეს შემთხვევაში არასრულწლოვნების მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო ქურდობის მუხლით, სსკ-ის 177- ე მუხლი - 146, მე-2 ადგილზე იყო 178-ე მუხლი (მარცვა) – 22, მე-3, მე-4 ადგილზე კი 126-ე მუხლი (ძალადობა) – 12 და 179-ე მუხლი (ყაჩაღობა) – 12.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	სისხლისამართლებრივი რაოდენობა	დევნის
126-ე მუხლი (ძალადობა)	12	
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	12	
117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	7	
353-ე მუხლი (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ)	4	
108-ე მუხლი (მკვლელობა)	4	
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	3	
109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში)	3	
151-ე მუხლი (მუქარა)	3	
239-ე მუხლი (ხულიგნობა)	1	
187-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება)	1	
118-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება)	1	
143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა)	1	
181 (გამომალვა)	1	
137-ე მუხლი (გაუპატიურება)	1	
სხვა (არაძალადობრივი)	186	
დანაშაულთა ერთობლიობა	226	
სულ	466	

ვ) პრობაციის ეროვნული სააგენტო

განრიდება-მედიაციის პროგრამა

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისა და დაზარალებულის ინტერესებს და მიმართული უნდა იყოს განმეორებითი დანაშაულის პრევენციაზე.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას⁷¹. ამ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ⁷². პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, თუ არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის აუცილებელი არ არის სისხლისსამართლებრივი დევნა და თუ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნით შეილახება, აღემატება იმ სხვა საზოგადოებრივ ინტერესებს, რომლებიც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად იქნებოდა დაცული.⁷³ განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვანი ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ⁷⁴.

გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და განრიდების პროცესისთვის მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში⁷⁵.

განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; არასრულწლოვანი ნასამართლევია არ არის; არასრულწლოვანი განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.⁷⁶

არასრულწლოვნის განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება არასრულწლოვნის/18-21 წლამდე პირის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. არასრულწლოვნის/18-21 წლამდე პირის (არასრულწლოვნის შემთხვევაში მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის) თანხმობის

⁷¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 38 (1).

⁷² იქვე, მუხლი 38 (2).

⁷³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №120 არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4.

⁷⁴ იქვე, მუხლი 39 (2).

⁷⁵ იქვე, მუხლი 38 (3).

⁷⁶ იქვე, მუხლი 40.

შემთხვევაში, პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით მიმართავს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს⁷⁷. ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან ინტერვიუს მეთოდით. შეფასების დასრულების შემდეგ, სოციალური მუშაკი დასკვნის სახით განსაზღვრავს არასრულწლოვანის იმ რეკომენდებულ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა მხედველობაში მიღებაც შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას.⁷⁸ არასრულწლოვანს შეიძლება გაუფორმდეს განრიდების ან განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება, რომელიც ძირითადად დამოკიდებულია მედიაციის პროცესში დაზარალებულის ჩართულობაზე. განრიდების/განრიდების და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: არასრულწლოვანის წერილობითი გაფრთხილება; აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა;⁷⁹

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, მედიაციის პროცესს უძღვება მედიატორი - მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს.⁸⁰ მედიაციის პროცესი სამი ძირითადი და ერთი დამატებითი ეტაპისაგან შედგება: მოსამზადებელი ეტაპი; წინასაკონფერენციო ეტაპი; მედიაციის კონფერენცია; მედიაციის კონფერენციის შემდგომი პერიოდის შეფასების დამატებითი ეტაპი.

განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულებით, შესაძლოა არასრულწლოვანს დაევალოს ან აეკრძალოს გარკვეული სახის ქმედებები. კერძოდ, განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება; ბინადრობის ადგილის შეცვლა; დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა; ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება; ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.⁸¹

გენერალური პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად⁸², 2016 წლიდან (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით 3%-ით

⁷⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №120 არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4 (6).

⁷⁸ იქვე, მუხლი 3 (11).


⁷⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 42.

⁸⁰ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3 (10).

⁸¹ იქვე.

⁸² საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში, 2024 წელი. ბმული - <https://pog.gov.ge/uploads/27f5e119-arasrulwlovanTa-ganridebisa-dasisxlissamarTlebrivi-devnis-sh.pdf>

იყო შემცირებული. 2021 წელს მოიმატა არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითმა წილმაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან მიმართებით. კერძოდ, 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 610, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 363 (59%) არასრულწლოვანი, ხოლო 2022 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 927, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 585 (63%) არასრულწლოვანი. 2023 წლის მონაცემებით კი, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა არის 1010, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში 544 (54%) არასრულწლოვანი ჩაერთო. საერთო ჯამში, 2022-2023 წლებში, მნიშვნელოვანი ზრდაა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე განრიდების მაჩვენებლის მიმართულებით. იხ. დეტალური ცხრილი:



2022 წელს, განრიდებული არასრულწლოვანებიდან 324 (55%) იყო მძიმე დანაშაულის, ხოლო 261 (45%) ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

2022 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირ შემთხვევებში ხდებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და ძირითადად სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ქურდობა) ჩადენისას. 585 არასრულწლოვანიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 407 (70%) არასრულწლოვანს. მე-2 ადგილზე იყო 126-ე მუხლი (ძალადობა) – 71, ხოლო მე-3 ადგილზე 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) -15.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	განრიდების რაოდენობა
126-ე მუხლი (ძალადობა) - 71	71
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	15

187-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება)	11
126' მუხლი (ოჯახში ძალადობა)	6
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	3
118-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება)	2
188-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით)	2
150-ე მუხლი (იძულება)	1
დანაშაულთა ერთობლიობა	80

2023 წელს, განრიდებული არასრულწლოვნებიდან 287 (50%) იყო მძიმე დანაშაულის, ხოლო 272 (50%) ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირ შემთხვევებში ხდებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და ძირითადად სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ქურდობა) ჩადენისას. 544 არასრულწლოვანიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 347 (63%) არასრულწლოვანს. მე-2 ადგილზე იყო 126-ე მუხლი (ძალადობა) – 76, ხოლო მე-3 ადგილზე 286' მუხლი (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით).

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	განრიდების რაოდენობა
126-ე მუხლი (ძალადობა)	76
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	11
187-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება)	7
151-ე მუხლი (მუქარა)	5
353'-ე მუხლი ⁸³	3
126' მუხლი (ოჯახში ძალადობა)	3
188-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით)	3
239-ე მუხლი (ხულიგნობა)	2
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	1
118-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება)	1
353-ე მუხლი ⁸⁴	1
124-ე მუხლი (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით)	1
დანაშაულთა ერთობლიობა	80

პირობითი მსჯავრი/არასაკატიმრო სასჯელის აღსრულება

83_პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.

84 წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციას არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტების აღსრულება. კერძოდ, სასჯელის სახით - თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის; იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის; გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის; შინაპატიმრობის დანიშვნის და სასჯელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის აღსრულება. გარდა ამისა, სააგენტო ასევე ახორციელებს პირობითი მსჯავრის და სასჯელის მოხდის გადავადების აღსრულებას.⁸⁵

სააგენტო თავისი მიზნების მისაღწევად: ახორციელებს მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროების შეფასებას და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვას; ხელს უწყობს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესს მონაწილეობს არასრულწლოვანთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში; კოორდინაციას უწევს რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციის, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესს; ჩართული არის აღდგენითი მართლმსაჯულების და განრიდების პროგრამის აღსრულების პროცესში.⁸⁶ პრობაციის ეროვნულ სააგენტოს არ აქვს განსაზღვრული განსხვავებული პროცედურები ძალადობრივი ქცევის არასრულწლოვნებთან მიმართებაში და არსებული ნორმები არის ზოგადი ხასიათის, რომელიც ვრცელდება მათ შორის ამ ჯგუფზე. ამ კატეგორიის მსჯავრდებულებთან გასხვავებული მიდგომები, ძირითადად დაკავშირებულია რისკებისა და საჭიროებების შეფასების მექანიზმთან, რომლის საფუძველზეც ხდება მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა სახის პროგრამებში.

2022 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით⁸⁷ ქვეყნის მასშტაბით, მსჯავრდებულთა უმეტესობა, ვისაც შეფარდებული ქონდა არასაპატიმრო სასჯელები, სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა - 21173 (95%), 1122 იყო სრულწლოვანი ქალები (5% ზე ნაკლები), ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული ჯამში იყო 75 (3 გოგო და 72 ბიჭი), რაც ჯამურად იყო მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.34%.

არასრულწლოვნების 55,73% მსჯავრდებული იყო ეკომონიკური დანაშაულებისთვის (სსკ 117-221 მუხლები), 15,20% ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის (სსკ 108-176 მუხლები), ხოლო 5,7% საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს⁸⁸ პირობითი მსჯავრი/არასაპატიმრო სასჯელი დაკისრებული ჰქონდა 23 არასრულწლოვან

⁸⁵ საქართველოს კანონი, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 2.

⁸⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N485, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2 (2).

⁸⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართალდარღვევების სტატისტიკა. ბმული - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvebis-statistika>

⁸⁸ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, № 2/60195, 01.07.2024 წლის წერილი.

მსჯავრდებულს. 6 მსჯავრდებული იყო 15 წლის ასაკის, 7 – 16 წლის, ხოლო 10 – 17 წლის. 16 პირს შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი, 5 არასრულწლოვანს შინაპატიმრობა, ხოლო 2 პირს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. იხ.დეტალური ცხრილი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ძალადობრივ დანაშაულებთან მიმართებაში:

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	მსჯავრდებულთა რაოდენობა
126-ე მუხლი (ძალადობა)	9
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	3
126' მუხლი (ოჯახში ძალადობა)	3
117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	3
239-ე მუხლი (ხულიგნობა)	2
სულ	20

2023 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით⁸⁹ ქვეყნის მასშტაბით, მსჯავრდებულთა უმეტესობას, ვისაც შეფარდებული ჰქონდა არასაპატიმრო სასჯელები, სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა - 23206 (94%), 1247 იყო სრულწლოვანი ქალები (5% ზე ნაკლები), ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული ჯამში იყო 124 (8 გოგო და 116 ბიჭი), რაც საერთო ჯამში იყო მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%.

არასრულწლოვნების 97,78% მსჯავრდებული იყო ეკომონიკური დანაშაულებისთვის (სსკ 117-221 მუხლები), 20.16% ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის (სსკ 108-176 მუხლები), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის 6.5%, ხოლო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის 1.1% (სსკ 307-363 მუხლები).

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წელს⁹⁰ პირობითი მსჯავრი/არასაპატიმრო სასჯელის დაკისრებული ქონდა 23 არასრულწლოვან მსჯავრდებულს. 3 მსჯავრდებული იყო 15 წლის ასაკის, 9 – 16 წლის, ხოლო 11 – 17 წლის. იხ.დეტალური ცხრილი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, რაც უკავშირდება ძალადობრივ დანაშაულს:

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	მსჯავრდებულთა რაოდენობა
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	7
126-ე მუხლი (ძალადობა)	5
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	4
117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	4
19-108-ე მუხლი (მკვლელობის მცდელობა)	1
19-178-ე მუხლი (ძარცვის მცდელობა)	1

⁸⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართალდარღვევების სტატისტიკა. ბმული - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvebis-statistika>

⁹⁰ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, № 2/60195, 01.07.2024 წლის წერილი.

353-ე მუხლი (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ)	1
სულ	23

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წელს⁹¹ (2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით) პირობითი მსჯავრი/არასაპატიმრო სასჯელი დაკისრებული ჰქონდა 30 არასრულწლოვან მსჯავრდებულს. 1 მსჯავრდებული იყო 14 წლის ასაკის, 4 - 15 წლის, 9 - 16 წლის, ხოლო 16 - 17 წლის. 27 პირს შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი, 2 არასრულწლოვანს შინაპატიმრობა, ხოლო 1 პირს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. იხ.დეტალური ცხრილი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, რაც უკავშირდება ძალადობრივ დანაშაულს:

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	მსჯავრდებულთა რაოდენობა
179-ე მუხლი (ყაჩაღობა)	8
117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	7
126-ე მუხლი (ძალადობა)	5
177-ე მუხლი (ქურდობა)	2
151-ე მუხლი (მუქარა)	2
19-108-ე მუხლი (მკვლელობის მცდელობა)	2
19-178-ე მუხლი (ძალადობის მცდელობა)	2
120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	1
353-ე მუხლი (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ)	1
სულ	30

ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან იკვეთება, რომ არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულებში წამყვანია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. თუმცა, აშკარად ჩანს, რომ მსჯავრდებულების რაოდენობა, 2022 წლის მერე იმატებს და მათ შორის სახეზეა ძალადობრივი შინაარსის დანაშაულებზე მსჯავრდებული პირების რაოდენობის ზრდა.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისები, გამოიყენება როგორც მსჯავრდებულებისთვის, ასევე განრიდებული არასრულწლოვნების მიმართ. შესაბამისად, წარმოდგენილი სერვისების გამოყენება ხდება ორივე კატეგორიის არასრულწლოვნებზე. იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁹², 2022 წელს ოცდაექვს (26) 14-18 წლამდე ასაკის ბენეფიციარს (მსჯავრდებულები/განრიდებულები) გაუწიეს ფსიქოლოგიური მომსახურება (ინდივიდუალური/ჯგუფური), 2023 წელს - 63 ბენეფიციარს, ხოლო 2024 წელს (1 ივლისის მდგომარეობით) 17 ბენეფიციარს. იხილეთ,

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე.

დეტალური ჩამონათვალი, იმ მომსახურებებისა, რასაც ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო არასრულწლოვანი მსჯავრდებულების/განრიდებულების მიმართ:⁹³

#	ორგანიზაცია	ქალაქი / რეგიონი	მომსახურება
1	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	თბილისი/რეგიონები	ფსიქიატრის კონსულტაცია
2	„საქართველოს ესოეს ბავშვთა სოფელი“	თბილისი/რეგიონები	ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო, დასაქმების ხელშეწყობა
3	წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT)	თბილისი/რეგიონები	ფსიქო-სოციალური
4	ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ - კლუბი სინერგია	თბილისი	ფსიქო-სოციალური
5	ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება	თბილისი	კულტურულ-შემეცნებითი ვიზიტი
6	სულაკაურის გამომცემლობა	თბილისი	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
7	ა/ო "მაკ ჯორჯია"	თბილისი	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
8	„ხანდაზმულთა კლუბი“	თბილისი	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
9	სოციალურ-პედაგოგიური ცენტრი "კომპასი"	ქუთაისი	ფსიქო-სოციალური
10	არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი"	ოზურგეთი	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
11	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია	საჩხერე	სპორტული და სახელოვნებო ღონისძიებები
12	საჩხერის #2 საჯარო სკოლა	საჩხერე	კლუბებსა და სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობა, საზაფხულო ბანაკები
13	შშმ ბავშვთა დღის ცენტრი	საჩხერე	ხატვა, მერწყვა, თიხაზე მუშაობა
14	ხანდაზმულთა დღის ცენტრი	საჩხერე	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
15	„სოციალური მომსახურების ცენტრი“	ფოთი	უფასო სასადილო - მოხალისეობა
16	დღის ცენტრი „იალქანი“	ბათუმი	კულტურულ-საგანმანათლებლო
17	ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ - კლუბი სინერგია	ბათუმი	ფსიქო-სოციალური
18	ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრი	ბათუმი	კულტურულ-საგანმანათლებლო;

⁹³ იქვე.

19	საქართველოს წითელი ჯვრის ბათუმის ფილიალი	ბათუმი	კულტურულ-საგანმანათლებლო;
20	ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ბათუმი	კულტურულ-საგანმანათლებლო;
21	ქ.ბათუმის მუნიციპალური სასადილო	ბათუმი	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
22	ახალციხის ბაღების გაერთიანება	ახალციხე	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
23	დემოკრატ მესხთა კავშირი	ახალციხე	ტრენინგები და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები
24	ქ. ზუგდიდის მერია	ზუგდიდი	უფასო სასადილო - მოხალისეობა
25	ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი	ზუგდიდი	კინოკლუბი
26	"სათნოების სახლი"	თელავი	მოხალისეობრივი აქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
27	"სათნოების სახლი"	ახმეტა	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
28	"სათნოების სახლი"	დედოფლის წყარო	მოხალისეობრივ საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
29	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	თელავი	მოხალისეობრივ საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა
30	მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციურ ცენტრი	მცხეთა	მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების ხელმისაწვდომობა

ზ) სპეციალური პენიტენციური სამსახური

აღკვეთი ღონისძიების - პატიმრობის და სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა⁹⁴. ამ სამსახურის მიზანია ბრალდებულის/მსჯავრდებულის რეაბილიტაციის/რესოციალიზაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა⁹⁵. სხვა უწყებების მსგავსად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მარეგულირებელ ნორმებში, არ არის ასახული განსხვავებული პროცედურები, ძალადობრივი ქცევის არასრულწლოვნებთან მიდგომის კუთხით. კანონმდებლობაში ასახული ნორმები ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება მათ შორის ამ კატეგორიის არასრულწლოვნებზე.

არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში. ესეთი განყოფილებები შექმნილია, გლდანის N8 და ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებებში.

⁹⁴ საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 1.

⁹⁵ იქვე, მუხლი 9.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, – თავსდება არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. არასრულწლოვანი გოგობის განთავსება (როგორც ბრალდებულის/ასევე მსჯავრდებულის) ხორციელდება ქალთა N5 დაწესებულებაში.⁹⁶

კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება. დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნისთვის პენიტენციური კოდექსით დადგენილი წესით უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები.⁹⁷ არასრულწლოვანს ასევე აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.⁹⁸

2022 წლის დეკემბრის ბოლოს,⁹⁹ არასრულწლოვანი ბრალდებულები განთავსებულნი იყვნენ ორ დაწესებულებაში, N8 პენიტენციური დაწესებულება - 5 ბრალდებული, N2 პენიტენციური დაწესებულება - 6 ბრალდებული. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულებებში განთავსებული იყო 34 მსჯავრდებული, მათგან 1 მდედრობითი სქესის. **2023 წლის დეკემბრის ბოლოს**¹⁰⁰, არასრულწლოვანი ბრალდებულები განთავსებულნი იყვნენ ორ დაწესებულებაში, N8 პენიტენციური დაწესებულება - 12 ბრალდებული, N2 პენიტენციური დაწესებულება - 6 ბრალდებული; N5 დაწესებულება - 6 ბრალდებული (გოგონები). აღნიშნულ პერიოდში დაწესებულებებში განთავსებული იყო 35 მსჯავრდებული, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი შეადგენდა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს. **2024 წლის ივნისის ბოლოს**¹⁰¹, არასრულწლოვანი ბრალდებულები განთავსებულნი იყვნენ ორ დაწესებულებაში, N8 პენიტენციური დაწესებულება - 11 ბრალდებული, N2 პენიტენციური დაწესებულება - 6 ბრალდებული; N5 დაწესებულება - 6 ბრალდებული (ქალები). აღნიშნულ პერიოდში დაწესებულებებში განთავსებული იყო 52 მსჯავრდებული, მათ შორის 1 ქალი. მათი რიცხვი შეადგენდა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.6%-ს.¹⁰²

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით,¹⁰³ **2022 წელს** მსჯავრდებული იყო 241 არასრულწლოვანი. რაც შეეხება ძალადობრივ დანაშაულებს, 79 პირს (31.4%) შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, აქედან ხუთს (5) განზრახ მკვლელობისთვის, რვას (8) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და ხუთს (5) ხულიგნობისთვის. **2023 წელს** მსჯავრდებული იყო 383 არასრულწლოვანი. 105 პირს (27.4%) შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, აქედან ცხრას (9)

⁹⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 79

⁹⁷ იქვე, მუხლი 84.

⁹⁸ იქვე, მუხლი 85.

⁹⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართალდარღვევების სტატისტიკა. ბმული - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvevebis-statistika>

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართალდარღვევების სტატისტიკა. ბმული - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvevebis-statistika>

განზრახ მკვლევლობისთვის, ექსვსს (6) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, ხოლო ერთს (1) ხულიგნობისთვის.

სპეციალური პენიტენციურ სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით¹⁰⁴, პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ყველა არასრულწლოვანი ჩართულია შემთხვევის მართვაში, მუშაობა მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მიდგომით. მულტიდისციპლინური გუნდის წევრების შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, დგება ინდივიდუალურ გეგმა ბრალდებულების შემთხვევაში, ხოლო მსჯავრდებულის შემთხვევაში - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა. შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, არასრულწლოვანი მუდმივად ჩართულია მიზნობრივ ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებში.

არასრულწლოვნებს მიეწოდებათ როგორც ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის ინდივიდუალური თემატური კონსულტაციები, ასევე, დანერგილია სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად ემსახურება არასრულწლოვნების ძალადობრივი ქცევის ცვლილებას. კერძოდ: სარეაბილიტაციო პროგრამა-დანაშაულის გაცნობიერება; "სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი" (ტრავმაზე ორიენტირებული ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა ინტერვენცია); ბრაზის მართვის და ემოციების რეგულაციის პროგრამა; პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება; საინფორმაციო-შემეცნებითი ტრენინგები (სტიგმა და დისკრიმინაცია; ტრეფიკინგი; ტრენინგი „ქალთა მიმართ ძალადობა; ტრენინგი „კონფლიქტის მართვა“).

გარდა ამისა, ტარდება თემატური ფილმების ჩვენება, ფილმის ბოლოს იმართება დისკუსია. აღნიშნული პროგრამების მიწოდებას ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სპეციალისტები (სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები).

V. ჩაღრმავებული ინტერვიუები

ა) ძალადობრივი ქცევა, მისი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები

ძალადობრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ ფაქტორებზე საუბრისას, რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძალადობრივი ქცევა ვერ იქნება განპირობებული ერთი კონკრეტული მიზეზით და შესაძლოა ის არაერთი გარემოების კომბინაციით იყოს გამოწვეული. მათივე მოსაზრებით, ეს ცალკე კვლევის საკითხია, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ძირითადად განაპირობებს ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბებას, ესენია: გარდატეხის, პუბერტატის ასაკი და ამ დროს მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები, ოჯახისა და მხარდამჭერების არყოლა, არასრულწლოვანთა ნაწილში ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები, პრობლემური სამეგობრო წრე, ოჯახში ძალადობრივი გამოცდილება, დისფუნქციური ოჯახები, ბავშვის ხასიათობრივი თავისებურებები, ასევე აღინიშნა, რომ ძალადობის წამახალისებელი გარემოება შესაძლოა

¹⁰⁴ წერილი სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, N226291/01, 01.08.2024

იყოს ცალკეულ ინსტიტუციებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, ზოგადად საზოგადოებაში გავრცელებული ძალადობრივი ქცევის მოდელები, ამ ტიპის დამოკიდებულების მიმართ ტოლერანტობა, საზოგადოებაში ძალადობრივი ქცევის მიმართ მაღალი მიმდებლობა, ასევე მაგალითები, როდესაც არასრულწლოვნებისთვის მისაბამი პირები სისტემატურად ავლენენ ძალადობრივ ქცევას და გარკვეულ წილად როლულ მოდელებს წარმოადგენენ მოზარდებისთვის. აღინიშნა, რომ სკოლები დროულად და ეფექტიანად ვერ ახდენენ ძალადობრივი ქცევის პრევენციას და ვერ უზრუნველყოფენ დროულ ინტერვენციას.

„ძალადობრივი ქმედებების მქონე მოზარდების 90% შემთხვევებში, ოჯახი არ არის გამართული. ოჯახში არის რაღაც პრობლემა და ბავშვს სათანადო ყურადღება არ ექცევა“.

„შესაძლოა თავად იყვნენ ოდესღაც ძალადობის მსხვერპლი, შესაძლოა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ნებისმიერი ტიპის ძალადობის მსხვერპლი, რაც იწვევს შემდგომ მათი ქცევის განმეორებას“.

რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში არასრულწლოვანთა ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის შეინიშნება კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენაც, როდესაც არასრულწლოვნები ცდილობენ ამ ტიპის მენტალობის წრესთან დაახლოებას, მათ შორის ავტორიტეტის მოპოვებას, შესაბამისად ბაძავენ მათ და აქვთ გარკვეული რომანტიული დამოკიდებულება სუბკულტურის წრის წარმომადგენელთა მიმართ. რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს განწყობები ბოლო პერიოდში უფრო მძლავრად შეინიშნება, მათ შორის გოგონებშიც და მიიჩნევენ, რომ ამ კუთხით სიღრმისეული კვლევების ჩატარება აუცილებელია, თუმცა გამოკითხულთა შედარებით მცირე ჯგუფი ბოლო წლებში ამ კუთხით მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ ამჩნევს და თვლის, რომ სუბკულტურული გავლენები არასრულწლოვანთა ქცევაზე არ გამლიერებულა.

„ამას კვლევა სჭირდება, თუმცა ჩემს პრაქტიკაში რასაც ვაკვირდები, გაზრდილია ინტერესი ბავშვებში ამ კრიმინალური სუბკულტურის მიმართ“.

„კრიმინალური სუბკულტურიდან გამომდინარე თვითონ თვლიან რომ ეს არის გზა რომელიც უნდა გაიარო თუ გინდა ამ სუბკულტურის ნაწილი იყო“.

ერთ-ერთი სიახლე, რაზეც რესპონდენტებმა ისაუბრეს, არის ფაშისტური შინაარსის მატარებელი სუბკულტურის მიმდევრების არსებობა მოზარდების გარკვეულ ჯგუფში, მათთვის დამახასიათებელი სიმბოლიკითა და გარეგნული გამოხატულებებით.

„სქინჰედები და ფაშისტები, ეს ნაციზმის მიმდევრები საკმაოდ დიდი ჯგუფია“.

„ძირითადად თავი აქვთ გადაპარსული, აცვიათ სამხედრო ჩექმა, ჩატანებული შარვალი და სამხედრო სტილზე დადიან“.

რესპონდენტების ნაწილი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში არის რეგიონები, საიდანაც ბავშვების უფრო ხშირად ხვდებიან მართლმსაჯულების სისტემაში (ქვემო ქართლი), ასევე

თბილისში არის უბნები, რომლის მაცხოვრებლებიც უფრო ხშირად ხვდებიან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში (პენიტენციურ სისტემაში, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში), მათივე განმარტებით, არსებობს კონკრეტული ადგილები, სადაც რთული ქცევის მქონე მოზარდები იკრიბებიან.

„თბილისში უბნები გამოიყოფა, მწვავე მდგომარეობა არის გლდანში და ისანში“.

„შეკრების ადგილად გავრცელებულია თავისუფალ თეატრთან ასასვლელი კიბეები და დედაენის ბაღი, კიკვიძის ბაღი. ასევე, იკრიბებიან დელისის მეტროსთან“.

რესპონდენტების დიდი ნაწილი, დანაშაულის გამოძწევ მიზეზებს შორის მოზარდებში დაუსჯელობის განცდასაც ასახელებს, განსაკუთრებით 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან მიმართებით. თუმცა, რესპონდენტების მეორე ნაწილმა, ასევე ისაუბრა დაუსჯელობის განცდის პრობლემაზე 14 წელს მიღწეულ ბავშვებს შორისაც. აღნიშნულის საპირისპიროდ, რესპონდენტების მცირე ჯგუფმა განაცხადა, რომ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა სწორია და შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

„ეს დაუსჯელობის განცდა 14 წლამდე ბავშვებს აქვთ და ყველა 14 წლამდე ბავშვი ვინც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის ამბობს რომ მერე რა, 14-ის ჯერ არ ვარ. ანუ, მან აქვთ ეს განცდა 14 წლამდე ბავშვებს რომ რაც არ უნდა ჩავიდინო და რაც არ უნდა გავაკეთო მაინც მაპატიებენ“.

„ჩვენი თითქოს ეს ლოიალური კანონი ახალისებს კრიმინალს, ბავშვი როცა ხედავს რომ 20-30 დანაშაული ჩაიდინა და პასუხი არ აგო ამის გამო, ბუნებრივია ხდება წახალისება მისი და რატომაც არ უნდა ჩაიდინოს 45-ე და 50-ე. და ხშირად ვეკითხები, აი 100 დანაშაული როცა აქვს, ხო გქონდა მოლოდინი რომ დაგიჭერდნენ? და მეუბნება, რომ არა არ მქონდა 90-ი რომ ჩავიდინე და არაფერი არ მოხდა, არც ახლა ველოდი დაჭერას“.

„ბოლო პერიოდში რაც ჩვენი დაკვირვებით ბოლო 2 წელიწადში ხდება, არის სრული განუკითხაობა, სრული დაუსჯელობის სინდრომი“.

„ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით. ჯერ ძალიან მკაცრი მიდგომები იყო, ახლა ყველა შეზღუდვა მოვხსენით თითქოს. ბავშვს აქვს იმის მოლოდინი, რომ ერთხელ რომ დააშავა და გამოუშვეს, შემდეგშიც ასე მოხდება“.

„დაუსჯელობის სინდრომი სხვანაირად არ უნდა იყოს გაგებული, მას გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, ოღონდ უნდა იყოს ადეკვატური. თუ განრიდება იქნება უნდა იყოს კიდე რაღაც პუნქტები ჩართული რომლის არ შესრულებაზე იქნება რეაგირება. პოლიტიკაც უნდა იყოს თანხვედრაში“

„კოდექსი არის გადასახედი ახალი თვალით, იმის მერე ბევრი რამ შეიცვალა“.

მართლსაწინააღმდეგო ქცევების გამოძწევ მიზეზებს შორის, რესპონდენტების ნაწილმა დაასახელა ეკონომიკური მდგომარეობაც, რაც განსაკუთრებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულების ზრდას უკავშირდება, თუმცა რესპონდენტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ მდგომარეობა დანაშაულის და განსაკუთრებით კი ძალადობრივი ქცევის გამოძწევ მიზეზად არ შეიძლება განვიხილოთ.

ბ) სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა

განათლებისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემა

ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ სერვისებთან დაკავშირებით, ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, ხდება ბავშვის ინდივიდუალური შეფასება, კონსულტირება და განსაზღვრა რა ტიპის სერვისი ესაჭიროება მას. სერვისები ხელმისაწვდომია როგორც ფსიქოლოგის კონსულტირების ნაწილში, ასევე თუ ბავშვს აქვს უფრო სიღრმისეული და სხვა საჭიროებები, შესაძლოა გამოყენებული იქნას დღის ცენტრის, კრიზისული ცენტრის მომსახურებაც, ასევე სერვისები, რომელთა მოწოდებას ახორციელებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც სერვისის მიმწოდებლები. აღინიშნა ასევე, რომ შემთხვევათა ნაწილში არ არსებობს სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის საჭიროება, შესაძლოა ბავშვი სარგებლობდეს კერძო სერვისი და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო მხოლოდ კონსულტირების ეტაპით შემოიფარგლოს. ასევე ხაზი გაესვა, რომ ბავშვების ნაწილთან ამავდროულად მუშაობს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი და შესაძლებელი ხდება აღნიშნული ცენტრის მომსახურების გამოყენებაც. აქვე აღინიშნა, რომ სერვისები ხელმისაწვდომია, როგორც ოჯახში იდენტიფიცირებული ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვების, ისე სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის. თუმცა ამავდროულად დგას მათი სერვისში ნებაყოფლობით ჩართვის პრობლემა. ამას განსაკუთრებით გაესვა ხაზი ექსპერტებთან ინტერვიუს დროს, როდესაც აღინიშნა, რომ ისეთი ფსიქიკური პრობლემების დროსაც კი, როდესაც აუცილებელი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისში ბავშვის ჩართვა, თუ ის წინააღმდეგია, არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბავშვისთვის მისთვის აუცილებელი სერვისის მიწოდება, კერძოდ ხელმისაწვდომი არ არის იძულებითი თერაპია (მაგ/სუიციდის მაღალი რისკის შემთხვევაში), არ არსებობს დახურული/ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულება, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვით უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოდ განთავსებასა და შესაბამისი სერვისების მიღებას, რაც ხშირად ბავშვების სიცოცხლესაც კი აყენებს საფრთხის ქვეშ. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ სერვისები ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვისთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც. კერძოდ თუ ოჯახს სჭირდება გაძლიერება ან რაიმე ტიპის ეკონომიკური პრობლემის მოგვარება, ზრუნვის სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან.

„ჩვენ გვაქვს სხვადასხვა პროგრამები სააგენტოს ბაზაზე რაც არის... ძალადობრივ ქცევის ბავშვებთან დაკავშირებით ზოგადი მომსახურება, დღის ცენტრის მომსახურებას ვიყენებთ ხოლმე ჩვენ და კომპასი გვყავს, დღის ცენტრის სერვისის მომწოდებელია ეს ორგანიზაცია და ძირითადად ამ სერვისს ვიყენებთ ხოლმე... საჭიროება ნამდვილად არის (ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულება), შემძლია თამამად ვთქვა“.

„რაც უნდა არსებობდეს, სპეციალიზებული დაწესებულება, სადაც ეს არასრულწლოვნები გადავლენ. განსაკუთრებით აქცენტი მაქვს ძალადობრივი ქცევის არასრულწლოვნებზე“.

სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ხშირად, რადგან ბავშვისთვის მისი სურვილის არარსებობის გამო, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდება ვერ ხერხდება, დღის ცენტრებს თავის მხრივ ამ ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის არანაირი ბერკეტი არ აქვთ და ფაქტობრივად მათი ქცევის შეცვლაც ვერ ხერხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და სტანდარტი არაერთი რესპონდენტის მიერ დასახელდა, როგორც უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. შექმნილი ვითარების ფონზე, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები მხოლოდ განთავსების საკითხის მოგვარებას ახერხებენ და ესეც მნიშვნელოვან გამოწვევად ესახებათ, რადგან თითოეული ბავშვის დამატებას მისი საჭიროებებისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინების გარეშე, არსებულ ვითარებაში შესაძლოა უმძიმესი შედეგი მოყვეს და უდიდეს რისკებთან იყოს დაკავშირებული. მათი განმარტებით, ისე ხდება მათთან ბავშვების გადამისამართება, რომ მხედველობაში არ მიიღება არც ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები არასრულწლოვნისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით, არც ის სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომია კონკრეტულ დაწესებულებაში და არც ადამიანური რესურსების რაოდენობა, რაც ასევე აუცილებელია მცირე საოჯახო ტიპის სახლის, დღის ცენტრისა თუ თავშესაფრის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებს, ისინი სიტუაციას ამ სიმწვავეთ არ აღიქვამენ და მიიჩნევენ, რომ მდგომარეობა (განსაკუთრებით დღის ცენტრების ნაწილში) არც ისე სავალალოა.

„დღის ცენტრის მომსახურება გვაქვს, ძალიან კარგი პროვაიდერი ორგანიზაციები და ძალიან კარგ შედეგებზე გავდივართ, რაც წარმატებად შემიძლია დავასახელო. რაც შეეხება გამოწვევებს, გამოწვევები ამ სფეროში გვგონია რომ სულ იქნება, რაც არ უნდა ვისაუბროთ სერვისებზე, მგონია რომ კიდევ დაგვჭირდება მეტი სერვისი, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს და ისე აღარ ვართ როგორც ადრე ვიყავით, რომ არ ვიცოდით სად გადაგვემისამართებინა ეს ბავშვი.“

რაც შეეხება სერვისების ხარისხის კონტროლს, ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, სერვისების ზედამხედველობა ხორციელდება შიდა მონიტორინგის, ხარისხის ზედამხედველობის ფარგლებშიც, ასევე გარე მონიტორინგის სახით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად ახორციელებს მონიტორინგს 24 საათიან დაწესებულებებში. თუმცა ზრუნვის სისტემის წარმომადგენელიც აღნიშნავს, რომ მათ სისტემაში მოხვედრილი, უკვე გართულებული შემთხვევების მართვისას, განსაკუთრებით ჭირს 15-16 წლის მოზარდების ჩართვა სერვისებში.

„(სერვისის მიმწოდებელი) სერვისი არ გვაქვს განსაკუთრებით იმ ნაწილში, როდესაც ბავშვს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, დიაგნოსტირებული მე არ მახსენდება არცერთი ბავშვი საქართველოში...როდესაც პირისპირ საუბრის დროს ფსიქიატრი გეუბნება, რომ ამ ბავშვს სერიოზული პრობლემა აქვს, ნუ თქვენ ცოტა ხანი უნდა გაიჭირვოთ, მაგრამ ეს ყველა ვარიანტში ისეთ რაღაცას დაამავებს, რომ დაიჭიროს და დაისვენებთ, ანუ ეს ხო არ არის ბავშვზე ზრუნვა, ამ ბავშვს სჭირდება თერაპია,

მედიკამენტოზური მკურნალობა და შედეგზე გავალთ, მაგრამ ბავშვს არ აქვს სურვილი ჩართვის“.

„ახლა უბრალოდ არაფერი არ არის. წარმოიდგინეთ საპატრულო პოლიცია, რომელიც ჩვენთან მოდის, ბავშვი ჩვენი თანდასწრებით აფურთხებს, აგინებს, მის მანქანაზე ცეკვავს და საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ჩვენ აღმზრდელებს ეხვეწება რომ მიშველეთ, ჩამოიყვანეთ“.

„ხარისხის კონტროლი აუცილებლად ხდება. ნებისმიერ სერვისზე მონიტორინგი ხორციელდება, სააგენტოს ბაზაზე არსებობს შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც პროგრამის მიხედვით სწავლობს რა ტიპის ხარისხის სერვისი მიეწოდება ბავშვს, ასევე არის სამინისტროს მონიტორინგი და გარე მონიტორინგის მექანიზმები, როგორცაა მაგალითად სახალხო დამცველი, რომელიც პერიოდულად 24 საათიან დაწესებულებებში განსაკუთრებით ხშირად ახორციელებენ მონიტორინგს.“

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და მანდატურის სამსახურს, მანდატურის ფსიქოსოციალური სერვისის წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლებში სხვადასხვა ტიპის ინდივიდუალური და ჯგუფური პრევენციული ტიპის სერვისებია ხელმისაწვდომი, რომელსაც გეგმავენ მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები, მათ შორის ისეთ სკოლებშიც, სადაც სოციალური მუშაკი მუდმივად არ არის, თუმცა გამოძახებულია საჭიროებიდან გამომდინარე. პერიოდულად სკოლებში კეთდება საჭიროებათა შეფასებაც, რომლის მიხედვითაც იგეგმება პრევენციული აქტივობები. რაც შეეხება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის სერვისს, მათი ხარისხის კონტროლი ხორციელდება შიდა და გარე მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებით. კერძოდ, სოციალური მუშაკს ჰყავს კოორდინატორი, სუპერვაიზორი, ხორციელდება ხარისხის კვარტალური შემოწმება, მენეჯერი, სამმართველოს უფროსი, კურატორი მოადგილე, რომლებიც მის საქმიანობას აფასებენ და მხარს უჭერენ, ფსიქოლოგებს თავის მხრივ ჰყავთ მენტორი, მენეჯერი, გადიან შიდა და გარე სუპერვიზიასა და ინტერვიზიას. იმ შემთხვევებისთვის კი, როდესაც ფსიქოლოგის ჩართულობა საკმარისი არ არის, სამინისტროს მემორანდუმი აქვს გაფორმებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სახლებთან, სადაც შედარებით მოკლე დროის მონაკვეთში იღებენ მათგან გადამისამართებულ ბავშვებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მათთვის უცნობია რა შედეგებზე გადის განათლების სამინისტრო სკოლებში ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის კუთხით. მართალია ჩანს გარკვეული ძალისხმევა, რაც გამოიხატება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, მანდატურის ერთობლივ მუშაობაში, თუმცა ანგარიში იმის შესახებ რა კეთდება და რამდენად წარმატებულია ის საქმიანობა, რასაც ახორციელებენ აღნიშნული პროფესიონალები, მათთვის უცნობია. ამავდროულად ხაზი გაესვა, რომ არსებული სასკოლო სერვისები და მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ადამიანური რესურსი არ არის საკმარისი.

არასრულოვანთა რეფერირების ცენტრი

ჩადრმავებული ინტერვიუებისას, ყველა რესპონდენტმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ რეფერირების ნაწილში, სერვისები არ არის საკმარისი. ის სერვისები კი, რომლებიც ხელმისაწვდომია ძირითადად არ პასუხობს ბავშვების საჭიროებებს და არ არის მორგებული ძალადობრივი ქცევის მქონე მოზარდებთან სამუშაოდ. ასეთი პრობლემების მქონე მოზარდებს, ძირითადად სთავაზობენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რთავენ ზოგადი ხასიათი პროგრამებში.

„ჩვენი გამოწვევა არის ის, რომ მოძალადე ბავშვებისთვის არ გვაქვს პროგრამა, რომელიც მათზე იმუშავებს. შესაბამისად, ვუწერთ ფსიქოლოგთან ინდივიდუალურ კონსულტირებას, სოციალური უნარების პროგრამას, თუმცა ეს პირდაპირ არ პასუხობს ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ამიტომ ვუწერთ ფსიქოლოგთან ინდივიდუალურ კონსულტირებასაც. სხვა სერვისი არ გვაქვს.“

რესპონდენტების ნაწილმა, ასევე აღნიშნა, რომ არ აქვთ პროგრამები, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა, კრიმინალური ღირებულებების შემცირებაზე.

„ძალიან დამხმარე იქნებოდა ჩემთვის როგორც პროფესიონალისთვის რომ გაწერილი ტრენინგ-მოდული გვექონდეს კრიმინალური ღირებულებების ნაწილთან დაკავშირებით.“

ჩადრმავებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს არ აქვს ოფისები ყველა რეგიონში და სერვისები ყველგან თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის, რის გამოც ვერ ხერხდება საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება. ასევე აქტიურად დგას სერვისების უწყვეტობის პრობლემა. გამოიკვეთა გამოწვევები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებთან დაკავშირებითაც, სადაც სერვისების სიმცირის გარდა, პრობლემები იქმნება ენობრივი ბარიერის გამო

„მე ამ ორი წლის განმავლობაში ხშირად მქონდა ახალქალაქიდან შემოსული შემთხვევები ენობრივი ბარიერიც არის ერთ-ერთი გამოწვევა ჩვენს ბენეფიციარებთან, თარჯიმნის მეშვეობით გვიწევს მუშაობა და მეორე არის ის რომ ახალქალაქში და იქით საერთოდ არანაირი სერვისი არ არის.“

რესპონდენტების ნაწილმა განმარტა, რომ გამოწვევებია მიწოდებული მომსახურების, ხარისხის შეფასების კუთხით, რის გამოც ფაქტობრივად ვერ ზომავენ თითოეული სერვისის ეფექტურობას. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ხშირ შემთხვევაში, სერვისების ეფექტურობის შეფასებას ახერხებენ მხოლოდ მყისიერად, პრე და პოსტ ტესტების მეშვეობით და არა ხანგრძლივადიან პერსპექტივაში.

„ეფექტურობის განმსაზღვრელი რაიმე მექანიზმი არ გვაქვს. ერთადერთი რითიც ვაფასებთ არის დაკვირვება სოციალური მუშაკის და ხელშეკრულების გეგმის ყველა პუნქტი თუ შესრულდა და აღარ გამოიკვეთა საჭიროება.“

განრიდება-მედიაციის და პირობითი მსჯავრის/არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ნაწილში

რეფერირების მსგავსად, გამოწვევას წარმოადგენს განრიდება-მედიაციის პროცესში მრავალფეროვანი და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების სიმწირე. მომსახურების ძირითად მიმწოდებლად რჩება უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტო.

„სერვისები არის ჩვენი უმთავრესი გამოწვევა ძალიან დიდი ხანია. თუმცა ამ ეტაპზე ძირითადი სერვისის მიმწოდებელი არის ჩვენი სააგენტო“.

„საკმაოდ ცოტა სერვისია ხელმისაწვდომი, ჩვენ ამაზე ღიად ვსაუბრობთ რომ არ ვართ კმაყოფილები“.

„ფსიქოლოგის კონსულტაცია ჩვენ შეგვიძლია, გვყავს შტატში ფსიქოლოგი. თუმცა ფსიქიატრთან, ნარკოლოგთან და სხვა მომიჯნავე პროფესიის ადამიანებთან სერვისის კონტრაქტები გვაქვს და შეგვიძლია გადავამისამართოთ“.

რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სერვისები არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი თბილისში და სხვა რეგიონებში, ასევე გამოიკვეთა პრობლემა ეთნიკური უმცირესობებისთვის, სადაც წამყვან პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი.

„არის ბრაზის მართვის ტრენინგი, თუმცა თუ ენის ბარიერია, ძალიან უჭირთ სოციალურ მუშაკებს, რაც ბუნებრივია. ასევე გვაქვს ფსიქოლოგის მომსახურებაც“.

„ეთნიკური უმცირესობებისთვის კურსები რომ იყოს, ძალიან კარგი იქნებოდა“.

„თბილისში მეტი ორგანიზაციაა. მეტი საშუალებაა ჩავრთოთ თუნდაც სხვადასხვა არასამთავრობოსთან მოზარდი, პროფესიულ კოლეჯთან თუ სხვა“.

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ აქვთ გარკვეული სახის პროგრამები, სადაც რთავენ ძალადობრივი ქცევის მქონე მოზარდებს, თუმცა იკვეთება დამატებითი სერვისების საჭიროება ზოგადად და განსაკუთრებით კი მშობლებთან მუშაობის ნაწილში.

„გვაქვს ძალადობრივ ქცევაზე რაღაც პროგრამები, კონფლიქტის მართვაზე, ემოციების მართვაზე. ამ ნაწილში ასევე თუ ძალიან მწვავედ დგას ხოლმე პრობლემა, ვრთავთ ხოლმე ფსიქოლოგებსაც. ასევე, ჯგუფურ შეხვედრებს ვუტარებთ ხოლმე ძალადობრივ ქცევაზე, თუ გვაქვს ისეთი მწვავე სიტუაცია“.

„ოჯახის წევრებთან, მშობელთან ვფიქრობთ, რომ ჭირდება მაგალითად პოზიტიურ მშობლობასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია და მაგ შემთხვევაში მშობელთანაც ვმუშაობთ თუმცა უფრო ნაკლებად. ხშირ შემთხვევაში ორიენტირებული ვართ ბავშვზე“.

რესპონდენტების ნაწილმა ხაზის გაუსვა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ზრდას მოზარდებში, თუმცა აქვე უმრავლესობამ დადებითად შეაფასა მემორანდუმის გაფორმება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მოზარდების გადამისამართებას.

„გვაქვს მემორანდუმი მაგალითად ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოლოგიის ცენტრთან 14-დან 18 წლამდე მოზარდებს უფასოდ ვუწევთ კონსულტირებას ფსიქიატრთან“.

სერვისების ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებით, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ძირითადად ამას ახორციელებენ პრე და პოსტ ტესტების მეშვეობით. თუმცა,

ეფექტურობის გრძელვადიანად შეფასება ვერ ხერხდება და ერთადერთი შესაძლებლობაა, მოზარდზე დაკვირვება, იმ პერიოდში, სანამ მათი ბენეფიციარია.

„ესე კონკრეტულად რაიმე დოკუმენტი რომ გვექონდეს რომ გადავასებას ვახდენთ ან რაიმე მსგავსი არ გვაქვს. შეფასების კრიტერიუმში ეს უბრალოდ არის სპეციალისტის დაკვირვების შედეგად. მაგალითად 6 და 8 თვე რომ ხვდები ბავშვს და მისი ღირებულებები იცვლება“.

პენიტენციური სისტემა

სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ჩაღრმავებული ინტერვიუებისას რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ სხვა უწყებების მსგავსად, პენიტენციურ სისტემაშიც მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები არიან უშუალოდ უწყების/დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც არასრულწლოვან პატიმრებს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო მომსახურებებს აწვდიან. მათი განმარტებით, უშუალოდ ძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამა ჯერ-ჯერობით არ აქვთ, თუმცა ამ მოზარდებს სხვადასხვა ტიპის სერვისებში ამისამართებენ და ცდილობენ ნელ-ნელა ყველა საჭირო პროგრამა შექმნან.

„სხვადასხვა ჯგუფური აქტივობებიც გვაქვს. თუმცა, მკვლევლობით რომ ბავშვი შემოდის იმას პირდაპირ ჯგუფურ აქტივობებში ვერ ჩავრთავთ, ჯერ მიდის ინდივიდუალური მუშაობა და მერე ჯგუფური. რაც შეეხება განზრახ მძიმე დაზიანებას აქ უფრო მსუბუქია ემოციური ფონი და უფრო მეტი შესაძლებლობაა, უფრო მეტი სერვისით მიდგომის. ყველა ვარიანტში ემოციური ფონის/დატვირთვის მოსახსნელად არტ-თერაპიაში ვრთავთ ხოლმე ბავშვებს, სტრესის მართვას ვატარებთ, ბრაზის მართვას ვატარებთ“.

რესპონდენტების შეფასებით, მათ აქვთ შესაძლებლობა მოკლევადიანად გაზომონ სერვისების ეფექტურობა, თუმცა გრძელვადიანი ეფექტის გაზომვას ვერ ახერხებენ. ისინი განმარტავენ, რომ პროგრამებს აქვს თავისი შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა როდესაც ბავშვი ტოვებს პენიტენციურ დაწესებულებას, გარეთ მისი პროგრესისა და გაწეული სერვისის ეფექტიანობის გაზომვა შეუძლებელი ხდება. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ყველაზე თვალსაჩინო საზომი არის, როდესაც არასრულწლოვანი აღარ ჩაიდენს დანაშაულს, თუმცა ეს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომო არ არის.

„რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გაზომვა რთულია, თუმცა, ერთადერთი საზომი ის არის რომ ამ დანაშაულებით უკან არ ბრუნდებიან“.

გ) უწყებებათაშორისი თანამშრომლობა

ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით უწყებებათაშორისი მუშაობის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მართალია მათ შორის ურთიერთობა გარკვეულ წილად რეგულირდება არასრულწლოვანთა რეფერირების შესახებ ბრძანებით, თუმცა უწყებების წარმომადგენლებს მკაფიო წარმოდგენა არ აქვთ იმ შემთხვევებზე თუ რა ფარგლებში უნდა განხორციელდეს თანამშრომლობა, რომელი უწყება რაზეა პასუხისმგებელი კონკრეტული საქმის გარშემო და როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა თუ უკუკავშირის

უზრუნველყოფა კონკრეტულ საქმეზე, ასევე როგორ იქნას არიდებული სერვისების დუბლირება, საქმიანობის აღრევა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შორის. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვის გადამისამართება უწევთ, თუ მან ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა არ მიუღწევია პასუხისმგებლობის ასაკისთვის, სხვა რესპონდენტის განმარტებით, გადამისამართება ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ ვერ ხერხდება სერვისებში ბავშვის ჩართვა და ბავშვისა და მშობლის მოტივირება ისარგებლონ ხელმისაწვდომი და ბავშვისთვის საჭირო მომსახურებით.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებით, ისინი ბავშვის რეფერირების ცენტრში გადამისამართების შემთხვევაში უწყებას უცვლიან წერილობით ინფორმაციას მისი ვინაობის, ადგილსამყოფელისა და სხვა საჭირო ინფორმაციის შესახებ, ინფორმაციის მიმოცვლა მათი განმარტებით ხდება მხოლოდ საჭიროების ფარგლებში და წერილობითი ფორმით. ერთიდაიგივე საკითხზე მომუშავე პირებს შორის, ყველა უწყების განმარტებით იმართება ქეის კონფერენციები, სადაც პროფესიონალები ცვლიან ინფორმაციას ბავშვთან გაწეული საქმიანობის შესახებ და თანხმდებიან თანამშრომლობის გეგმებზე. რაც შეეხება მანდატურის სამსახურს, მათი განმარტებით ინფორმაციის წერილობით გაცვლისას, ისინი არ მიუთითებენ ბავშვის სახელსა და გვარს და იყენებენ სხვა მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას, რათა ბავშვთან დაკავშირებული განსაკუთრებული ხასიათის პერსონალური მონაცემები უფრო ფართო წრისთვის არ გახდეს ხელმისაწვდომი (მაგ.კანცელარიის, ადმინისტრაციის თანამშრომლები), ვიდრე ეს საკითხის განხილვისთვის არის საჭირო.

კვლევის რესპონდენტებმა ასევე განაცხადეს, რომ არ არსებობს არც ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის ერთიანი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განსაზღვრას. რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ განათლების სისტემიდან არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ბავშვთა გადამისამართება ხორციელდება მაშინ, თუ სახეზეა კანონთან კონფლიქტი, მეორე რესპონდენტის განმარტებით, ეს შეიძლება იყოს სარისკო ქცევაც, რომელიც აუცილებლად დანაშაულს არ მოიაზრებს, რაც შეეხება ზრუნვის სააგენტოს, მათთან თანამშრომლობა ხორციელდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებსა და ბავშვის სერვისში ჩართვაზე ოჯახის მხრიდან უარის შემთხვევაში. თანამშრომლობის დროს დასახელდა მუნიციპალიტეტიც, რომელიც, როგორც აღინიშნა ოჯახის მხარდაჭერის ნაწილში მოიაზრება.

როგორც ცალკეული სპეცილისტების, ასევე ექსპერტთა ნაწილის მიერ აღინიშნა, რომ რიც შემთხვევებში გარკვეულ სირთულეს ქმნის პრობაციის სამსახურის ვალდებულება განრიდებული ბავშვის მონაცემების გაუმჟღავნებლობის შესახებ, რაც იწვევს ცალკეულ შემთხვევებში საკითხზე მუშაობის შეფერხებას, ან დუბლირებას.

„ის, რომ სადაც ვიღაცა მეილზე ფურცლებს უგზავნის, გასაგებია ეს პროცედურულად საჭიროა და აუცილებელია, მაგრამ ჩემი პოზიციაა რომ მინიმუმ ერთიანი სისტემა უნდა არსებობდეს, სადაც ეს ყველაფერი თავს მოიყრის, რა თქმა უნდა დაცული იქნება, მაგრამ მინიმუმ მონაცემები

დამუშავდება, რიცხვები იარსებებს და კვლევის გაკეთების შესაძლებლობა იქნება სად ვართ, რას ვაკეთებთ და სად მივდივართ,ის მაინც რომ იცოდე რასაც აკეთებ, საერთოდ შედეგის მომტანი არის თუ არა.“

„ჩვენ ისიც კი არ შეგვიძლია გავიგოთ მომსახურებას იღებს იქ თუ არ იღებს (მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი პრობაციის სააგენტოს შესახებ), მდგომარეობა როგორია. შეიძლება მოსწავლე ჩვენთან იღებდეს მომსახურებას და პარალელურად იღებდეს მომსახურებას პრობაციაში და ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ გვაქვს. პრობაციასთან არანაირი მიმოცვლა არ გვაქვს და რათქმაუნდა ეს ინფორმაცია გვჭირდება, უნდა ვიცოდეთ რა ინტერვენციის ფაზაში არიან ისინი, ფსიქოლოგია ხომ არ არის ისეთი დისციპლინა, რომ შეგიძლია ცალკე იმუშავო შენთვის.“

გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარმა, როგორც თავად უწყებების, ისე ექსპერტთა რიგებიდან, უწყებათაშორისი თანამშრომლობა დაასახელა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და აღნიშნა, რომ პარტნიორი უწყებიდან უფრო დროულ და აქტიურ თანადგომას მოელის. მართალია უწყებებს შორის ხშირად იმართება ვიდუო კონფერენციები კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულ თანამშრომლობას აკლია, როგორც ინფორმაციის გაცვლის კომპონენტი, ასევე რთულია იმის განსაზღვრა რომელი უწყება რაზეა პასუხისმგებელი, რაც ერთი მხრივ იწვევს ბავშვის მიერ ძალადობრივი ქცევის პრევენციისა და რეინტეგრაციის პროცესის შეფერხებას და მეორე მხრივ ტოვებს სივრცეს უწყებებს შორის კონკრეტულ საქმეებზე გაუგებრობისა და ურთიერთგადაბრალების ატმოსფეროს არსებობისთვის. რესპონდენტების აზრით, ხშირია შთაბეჭდილება, რომ ბავშვთან მუშაობა არ ეფუძნება ერთიან, ჰოლისტურ მიდგომას და ბავშვი არ განიხილება, როგორც ცენტრი, რომლის გარშემოც უნდა თანამშრომლობდნენ უწყებები. რესპონდენტებს ჰქონდათ განცდა, რომ თითოეული უწყება იზოლირებულად მოქმედებს და არასრულწლოვანს სთავაზობს იმას რაც აქვს და არა იმას, რაც შესაძლოა ბავშვს რეალურად სჭირდება. რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა ბავშვის რისკის შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებებსაც, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ინტერვენციის საჭიროება და ინტენსივობა (უმეტესად რეფერირების ცენტრის ნაწილში).

„ეს უწყებათაშორისი თანამშრომლობა ცოტა არ იყოს რთულია და გამოწვევები აქ მრავლად გვაქვს ხოლმე. კონკრეტულ ბავშვთან მუშაობა შესაძლოა საერთოდ არ დაიწყოს თვეების განმავლობაში. ...რატომ ხდება ასე, ამაზე მათ (ზრუნვის სააგენტოს) უნდა ჰქონდეთ პასუხი, თუმცა მე რაც მსმენია, ის არის, რომ ბევრად უფრო რთული შემთხვევები აქვთ, ვიდრე რთული ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვი, თუმცა შესაძლოა ეს ბავშვიც დროთა განმავლობაში ისე გამწვავდეს, რომ ის რთული ქცევა აღმოჩნდეს ბოლოს ახლა რაზეც მუშაობენ. ხშირ შემთხვევაში გადამისამართებულ ბავშვთან მუშაობა რამდენიმე თვის შემდეგაც არ იწყება“.

„ჩემთვის ძალიან დიდი გამოწვევაა უწყებათაშორისი ურთიერთობა...ძალიან დიდი ალბათობაა ინფორმაციის გაწყდომის და არაშეთანხმებული, არაკოორდინირებული მუშაობის. ძაან დიდი დანაკლისია ჩემთვის, რომ ერთად არ მივდივართ, თითქოს სხვადასხვა საქმეს ვაკეთებთ ერთიდაიგივე ბავშვზე.“

„მე ვფიქრობ რეფერირების ცენტრი საკმაოდ დამხმარე რესურსია, მაგრამ მე არ ვარ კმაყოფილი, რატომ იცით? მხოლოდ ვრჩებით გადამისამართების ამარად. რეფერირების პასუხი ხშირად არის ის, რომ მათაც ვერ დაავალდებულეს მშობელი, პრინციპში ჩვენ კი პასუხისმგებლობას ვინაწილებთ, მაგრამ როგორც საჭიროების მქონე პირის თვალთახედვით რომ შევხედო, მასთან არ იცვლება არაფერი“.

თუ ცალკეულ რესპონდენტებს მიღწევად მიაჩნიათ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ჩამოყალიბება და არსებობა მაკოორდინერებელ უწყებად, რესპონდენტთა მეორე ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეფერირების ცენტრის, როგორც ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის ცენტრალური უწყების როლსა და ფუნქციებზე. რესპონდენტები განმარტავენ, რომ მათთან ბავშვის გადამისამართება შესაძლებელია სერვისებით სარგებლობის საჭიროების შემთხვევაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ სერვისების ერთიანი ბაზის არსებობისა და უწყებების სერვისების იქ თავმოყრის შესახებ არცერთ რესპონდენტს ინფორმაცია არ ჰქონდა.

ცალკეულმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ რიგ შემთხვევებში ე.წ. ქეისების განხილვა ურთიერთბრალდებებსა და ურთიერთშეურაცხყოფაშიც კი გადაზრდილა. უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნის არარსებობის გამო, ცალკეული უწყებების წარმომადგენლები სხვა უწყებებს სთხოვენ პასუხს ბავშვთან მუშაობისას გამოვლენილ გამოწვევებზე და საქმე პიროვნულ შეურაცხყოფამდეც კი მიდის. ასევე აღინიშნა, რომ ხშირად არც ქეის კონფერენციებზე მიღწეული შეთანხმებები სრულდება და ამ შემთხვევებში, ამ ტიპის განხილვების აზრი გაუგებარია.

„მე მახსოვს, რომ პრობლემა რაც ძირითადი იყო, ამ უწყებებს თვითონ არ ჰქონდათ ნათელი და მკაფიო წარმოდგენა რეფერირების ცენტრის ფუნქცია-მოვალეობებზე. ბავშვის სრული სურათის არცოდნა, მგონია, რომ უფრო აზარალებს ამ ბავშვს და ერთიდაიგივე, მსგავს სერვისებში თთავს და არ ხდება ამ ბავშვის რეაბილიტაცია უწყებებს შორის გაუმართავი კომუნიკაციის გამო. მე ის უფრო მიმაჩნია რისკად, რომ ამ ინფორმაციის გაუზიარებლობის გამო, ეს ბავშვი რაღაცნაირად დაჩანჩალალებს უწყებიდან უწყებაში და რეალურად მასთან სრულფასოვანი მუშაობა არ ტარდება“.

„არის უზარმაზარი ხარვეზები, თითქოს ჯაჭვი არის, მაგრამ არ ფუნქციონირებს, ეს არის ყველაზე დიდი ხარვეზი და გამოწვევა, შესაბამისად ეს ჯაჭვი პრაქტიკაში არ ფუნქციონირებს ისე ხარისიხიანად, როგორც ეს უნდა ხდებოდეს“.

„ძვრა არის უარესობისკენ, უკეთესობისკენ ნამდვილად არ არის, ერთ დროს იყო სტაგნაცია და ახლა არის უკან უკან სვლა, რეფერირებაშიც იმდენი გადამისამართებით ვართ შესული, არცერთზე რეაგირება არ ყოფილა, არცერთზე. სამი ადამიანი ვართ პასუხისმგებელი რაღაცაზე და არცერთი არ ვაკეთებთ არაფერს, მერე მიდის დადანაშაულება... ამ ქეის კონფერენციებს აწყობენ ისტერიულად, მერე ჩანაწერებს აგზავნიან და მერე რომ უკუკავშირზე არავინ გირეკავს, იქ ხო

შევთანხმდით რაღაცებზე და ის არ კეთდება და აბა რათ მინდა ასეთი ქვის კონფერენცია“.

ცალკეულმა სერვისის მიმწოდებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან ბავშვის შესახებ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისთვის მიმართვის შემთხვევაში ზრუნვის სააგენტოდან რეაგირება არ ხდება და ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი შეფერხებაა.

„ერთი ბავშვი შეიძლება რამდენიმე უწყებაში იყოს, მაგრამ არცერთმა უწყებამ ქმედითი ნაბიჯი არ გადადგას.“

„წესით უნდა იყოს ინფორმაციის კონფიდენციალურად გაცვლის მექანიზმი, არ ვიცი აქვთ თუ არა, თუმცა ვხედავ რომ ეს ბავშვი გადადის ერთი უწყებიდან მეორეში მეორედან მესამეში, რაც უფრო რთულ ქეისთან გვაქვს საქმე, საბოლოო ჯამში ეს ბავშვი სად აღმოჩნდება არ ვიცი და ასე გადადის ხელიდან ხელში“.

გამოწვევად დასახელდა სკოლების მხრიდან სოციალური მუშაკებისა და მანდატურებისთვის ინფორმაციის გაზიარების პრობლემაც, აღინიშნა, რომ სკოლები ცდილობენ არ გაუზიარონ მათ კონკრეტული ძალადობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა რესპონდენტთა ნაწილმა განაცხადა, რომ ეს გამოწვევა უკვე მოგვარების გზაზეა და სულ უფრო მეტი ნდობა ჩნდება სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მანდატურებს თუ სოციალურ მუშაკებს შორის. რესპონდენტების განმარტებით, პრობლემად რჩება სკოლის სოციალური მუშაკების გადატვირთულობა, რომელთაც შესაძლოა ერთდროულად 500-700 ბავშვთან უხდებოდეთ მუშაობა, რაც ცხადია იწვევს პროფესიონალის გადაწვას და აისახება მათი მუშაობის ხარისხზეც.

კვლევის ფარგლებში ხაზი გაესვა სასკოლო მედიაციისა და კონფლიქტის მართვის უნარების გაძლიერების აუცილებლობას სკოლის დონეზე, აღინიშნა, რომ სკოლა უკეთ უნდა ახერხებდეს მცირე მასშტაბის კონფლიქტებთან გამკლავებას ადგილობრივი რესურსით, მეტად იყოს მოტივირებული გაუმკლავდეს დესტრუქციული ქცევის შემთხვევებს და მოახდინოს მათი პრევენცია, როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან უფრო აქტიური მუშაობის გზით. ამასთან ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ, სულ უფრო ხშირია სკოლაში პოლიციის გამოძახების პრაქტიკა, იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ცალკეული პრობლემების მოგვარება სასკოლო სივრცეში უნდა გადაწყდეს და პოლიციის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, კერძოდ აღინიშნა, რომ სკოლები თავის დაზღვევის მიზნით ელემენტარულ სირთულეებზეც იძახებენ პოლიციას, როგორც არის გაკვეთილის ჩაშლა მოსწავლის მიერ, მოსწავლეებს შორის გაუგებრობა (თმის მოქაჩვა და ა.შ).

„ეს ტენდენცია ძალიან არ მომწონს, ძალიან აქტიურად იძახებს სკოლა პოლიციას, აი ვთქვათ პატარა დისციპლინურ დარღვევაზეც კი მოდის პატრული, ამ პატრულმა არ იცის როგორ უნდა მართოს სიტუაცია. ამ შემთხვევაში სკოლა რატომ იძახებს პატრულს, რა საჭიროა, იმიტომ, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს შიგნით ქმედითი მექანიზმი, რომ მართოს სიტუაციები“.

„რაც ინსტიტუციები ხომ არის, იგივე მანდატურის სამსახური, იგივე ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც თავს არ ზოგავს და მართლა ძალიან ბევრს მუშაობენ და შრომობენ, მაგრამ მე მაგალითად არ ვიცი კვლევის საფუძველზე, რაღაცაზე დაყრდნობით, გადის თუ არა ეს სამსახური შედეგზე“.

თავის მხრივ, ჩადრმავებული ინტერვიუებისას, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრზე საუბრისას, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში არასრულწლოვნების გადამისამართებას უმეტეს შემთხვევაში ახდენს პროკურატურა, რაც ცხადია დაკავშირებულია მოზარდის მართლსაწინააღმდეგო ქცევასთან.

რესპონდენტების ნაწილი განმარტავს, რომ არის სირთულეები და ბუნდოვანება განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემებიდან არასრულწლოვნების გადამისამართების დროს. რიგ შემთხვევებში ხდება არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება და/ან ისეთი ქცევითი პრობლემების მქონე მოზარდის გადმომისამართება, რომელიც, როგორც წესი, არ არის არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარი.

„ცოტა ბუნდოვანია გადმომისამართების პროცესები (ჯანდაცვის სისტემიდან). მაგალითად, ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, რომლისგანაც რთული ქცევა არ იკვეთება მომართვის ფორმაში, ასეთი ბავშვი შეიძლება გადმომისამართდეს, შეიძლება გადმომისამართონ ჩვენი მომართვის ფორმის გარეშე“

„ხშირად გვაქვს ასეთი გამოწვევა, მაგალითად, სასკოლო სივრცეში ბავშვმა ბავშვს დაარტყა ხელი, ეს შეფასდა როგორც ძალადობა და პროკურატურამ გადმომისამართა. ეს ხდება ხოლმე მსჯელობის საგანი. მანდატური ასეთ ქეისებს არ ამისამართებს. საქმე თუ სკოლის სივრცეში პოლიციამდე მივიდა, ის პროცედურულად მიყვება და მერე ამ ფაზლით ჩვენთან გადმოდის ასეთი ქეისები“.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე საუბრისას, რესპონდენტების ნაწილმა, დადებითად შეაფასა უწყებათაშორისი თანამშრომლობის და კოორდინაციის პროცესი. რესპონდენტების განმარტებით, სხვადასხვა კუთხით თანამშრომლობენ განათლების სამინისტროსთან (მანდატურის სამსახურთან), სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. თუმცა აღინიშნა თანამშრომლობის სირთულეებიც ურთიერთკოორდინაციის ნაწილში.

„მანდატურის სამსახურთანაც ძალიან კარგი კოორდინაცია გვაქვს. მანდატურის სამსახური თუა ბავშვთან ჩართული, ძალიან გვეხმარება“.

„ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გადამისამართდეს, როგორც წინასასამართლოდ შეფასებული, ასევე პირობით მსჯავრდებული ან განრიდებული (ძალადობის შემთხვევაში). თვეში მინიმუმ ხუთ ასეთ მიმართვას ვაგზავნი ბავშვთა ზრუნვაში. გამოწვევა არის შემდეგი: მე ვიცი, რომ როგორც კი ჩვენი მიმართვა დაეწერებათ, ერთვებიან, მიდის სოციალური მუშაკი, რეაგირებას ახდენს, მაგრამ მაკლია სამართლებრივი გამართულობა. ეს რომ სამართლებრივად გამართული იყოს, გაცილებით მჭიდრო კოორდინაცია გვექნებოდა, სამართლებრივად მათ პასუხისმგებლობა რომ ჰქონდეთ ინფორმაციის ჩვენთვის გადმოცემის“.

რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, შეფასების პროცესში, ბავშვთან და მის ოჯახთან ურთიერთობის გარდა, კომუნიკაცია აქვთ სკოლასთან, თუმცა, პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებაში, ასეთი სახის კომუნიკაცია არ ხდება, ვინაიდან, მოზარდის გარკვეული სახის შეფასება მანამდე უკვე განხორციელებულია.

„პირობითის შემთხვევაში არ მივდივართ სკოლაში. ხშირ შემთხვევაში, ბავშვები, რომლებიც გვყავს პირობითზე, გვყავს შეფასებული, განრიდებისთვის, წინასასამართლოდ და გარკვეული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც დიდად არ შეცვლილა, გვაქვს“.

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, არის მცდელობა, რომ გააუმჯობესონ კომუნიკაცია პენიტენციურ სისტემასთან არასრულწლოვნის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პროცესთან დაკავშირებით.

„ვცდილობთ, რომ დავახლოვდეთ და ბევრი რამე ერთნაირად გავაკეთოთ, რადგან ერთი ბენეფიციარი გვყავს ხშირ შემთხვევაში. არასრულწლოვან ბავშვებს ვაფასებთ პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისთვის და ვაგზავნით პენიტენციურ დაწესებულებაში“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, ისაუბრა პოლიციის წარმომადგენელთა არასათანადო ქცევაზე ბავშვთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად განსაზღვრავს შემდეგ არასრულწლოვნის დამოკიდებულებას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ და ქმნის ნეგატიურ გამოცდილებას.

„არასრულწლოვან პირობითთან, მივედით სახლში, გამოვიძახეთ 112-ის დახმარება და მოვიდა კრიმინალური პოლიცია, რომელიც ისე უზრდელურად იქცეოდა, კინაღამ მეც კონფლიქტი შემექმნა. კორონა იყო, პირბადე არ ეკეთა, ძალიან დემონსტრაციულად მოიხსნა, ბავშვს უთხრა, „შენ ის არ ხარ, ყოველთვის ჩემთან რომ ხარ გამოძიებაზე, ამ სახლიდან ხშირად იძახებენ“, არადა, მოვიდა შესაძლო სუიციდის ფაქტზე და ბავშვს ზეწოლა დაუმატა, დამამცირებელი, დამაკნინებელი დამოკიდებულებით“.

რაც შეეხება პენიტენციურ სისტემას, ჩადრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტებმა ისაუბრეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა მათგანმა ყურადღება გაამახვილა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ხორციელდება მხოლოდ ზოგადი სახის ინფორმაციის გაზიარება.

რესპონდენტების ნაწილმა, ასევე ისაუბრა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის პროცესზე არასრულწლოვანი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს ამ მექანიზმის დახვეწა.

„როცა პრობაციაზე გადის ამ შემთხვევაში ეს არის კოორდინირებული მექანიზმით დარეგულირებული და შესაბამისად გასვლამდე რაღაც პერიოდით ადრე ხდება ოჯახის შეფასება, ანუ ადგილობრივ საბჭოზე წარსადგენად ისინი აკეთებენ ოჯახის შეფასებას და ჩვენ ამას ვაწვდით ადგილობრივ საბჭოს, რომელიც იღებს“.

გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით და შემდგომში უკვე გასვლამდე თუ პირობითი მიყვება ინფორმაცია მიეწოდებათ როგორც მსჯავრდებულებს, ასევე, რა თქმა უნდა, პრობაციაც საქმის კურსშია და შემდგომ გადაბარება ხდება ამ ბავშვის“.

დ) ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვთან მუშაობისას არსებული გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის კუთხით, უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ამ ტიპის ქცევის პრევენციის პირველ და მეორე დონეზე სახელმწიფო უწყებების აქტიური და მიზანმიმართული მუშაობა, რაც ასევე გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით დღეს საკმაოდ დიდი გამოწვევაა და ხშირად ამ მიმართულებით სახელმწიფო უწყებების საქმიანობა კრიტიკას ვერ უძლებს. ერთ-ერთ გამოწვევად, სწორედ პრევენციულ დონეზე სახელმწიფოს არასაკმარისი ჩართულობა დასახელდა, მაშინ, როდესაც პრევენციაზე მეტი აქცენტის გაკეთება, სახელმწიფოსთვის როგორც ადამიანური და ფინანსური რესურსის, ისე მიღწეული შედეგების, კერძოდ ბავშვის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით უფრო მომგებიანი შეიძლება აღმოჩნდეს.

გამოკითხულ ექსპერტთა მოსაზრებით, პრევენციული ღონისძიებები არასისტემური და არასაკმარისია როგორც სკოლის დონეზე, ისე ოჯახებში მუშაობის თვალსაზრისითაც. კვლევამ ცხადყო, რომ ზრუნვის სააგენტოს მხრიდან ოჯახში ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვთან მუშაობა ხორციელდება მხოლოდ ძალადობის შესახებ შესაბამისი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, სხვა მხრივ შეტყობინების არარსებობისას სააგენტოს მიერ პრევენციული ჩარევის არც რესურსი არსებობს და სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებით, ამ ტიპის ინტერვენცია არც მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სააგენტოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მოსაზრებით, ყველა ოჯახში მათი სოციალური მუშაკის შესვლა წარმოუდგენელია, მეტიც, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მუნიციპალიტეტებთან სოციალური მუშაკის პოზიცია, რომ მათ განახორციელონ ამ ტიპის პრევენციული საქმიანობა და უფრო ახლო კონტაქტზე იყვნენ კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ ოჯახებსა და არასრულწლოვნებთან.

მართალია კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტის, როგორც პრევენციულ საქმიანობაში ჩართული უწყების როლი, ცალკე შესწავლილი არ ყოფილა, თუმცა რესპონდენტთა ნაწილმა ერთ-ერთ გამოწვევად დაასახელა მუნიციპალიტეტების პასიური მონაწილეობა პრევენციული პოლიტიკის წარმართვაში, მათ აღნიშნეს, რომ არსებული საჭიროებების ფარგლებში გაჭირდა მუნიციპალიტეტების დონეზე უფასო სპორტული წრეების მოძიება, რაც, როგორც წესი ძალიან მნიშვნელოვანია პრევენციის ეტაპზე და მოთხოვნაც შესაბამისად მაღალია.

„ასე პრევენციულად ზრუნვის სააგენტო ყველა ოჯახში ნამდვილად ვერ შევა... ასე რომ გავიგოთ ოჯახებში რა ხდება, ამას ზრუნვის სააგენტო ვერ დაფარავს, ამიტომ შეიქმნა მუნიციპალიტეტიც, რომ მათ ნახონ, იმუშავონ და თუ საჭიროება შეიქმნა რეფერირების მექანიზმი ამას გვავალებულებს რა თქმა უნდა, ჩვენ

ჩვერთვებით, მაგრამ ჩვენმა სოციალურმა მუშაკმა კარდაკარ იაროს, გამორიცხული ამბავია.“

როგორც რესპონდენტების, მათ შორის სერვის პროვაიდერების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, სამწუხაროდ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს საქმიანობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეფერხდა, რაც დიდ წილად გამოწვეულია ადამიანური რესურსის სიმწირით და თანამშრომელთა გადატვირთულობით, აღინიშნა, რომ სოციალური მუშაკის გამოყოფაც კი კონკრეტული საქმის კურატორად ხშირად პრობლემურია და დიდ დროს მოითხოვს. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული შეფასება არ არის საკმარისი, ხშირად არც ხდება შეფასება სად უნდა განთავსდეს მაგალითად ოჯახიდან გამოყვანილი ბავშვი და ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც ბავშვები ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამო გამოყვანილნი არიან ოჯახიდან, თუმცა უფრო დიდი ძალადობის ქვეშ აღმოჩნდებიან ხოლმე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

კვლევის ფარგლებში ასევე აღინიშნა, რომ მწირი დაფინანსებისა და რესურსების ნაკლებობის გამო, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში აქცენტი კეთდება მხოლოდ განთავსებასა და ცალკეულ ლოჯისტიკურ საკითხებზე და ბავშვებთან შინაარსობრივი მუშაობა და სერვისების მიწოდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რესპონდენტთა მონათხრობზე დაყრდნობით, კვლევამ გამოკვეთა, რომ ამ მიმართულებით სიღრმისეულ მონიტორინგსაც სამინისტრო ახორციელებს და ძირითადად მათი შემოწმების საგანს გარემო პირობები, ჭურჭლის მთლიანობა და მედიკამენტების ვადა წარმოადგენს. ძალადობრივ გარემოში არასრულწლოვნის მოხვედრა კი, გარდა მისი უფლებების ხელყოფისა, იწვევს ამ ქცევის მოდელირებას და ძალადობრივი ქცევის რისკების კიდევ უფრო გაზრდას ცალკეულ დაწესებულებაში განთავსებულ სხვა არასრულწლოვნებს შორისაც.

რთული შემთხვევებია მაშინაც, როდესაც ბავშვს სჭირდება მედიკამენტოზური მკურნალობა და უარს აცხადებს ამ ტიპის მკურნალობაზე, ასეთ ბავშვებთან რესპონდენტთა განმარტებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალს არანაირი ბერკეტი არ აქვს. იგივე უნდა ითქვას შემთხვევებზე, როდესაც ბავშვს აქვს სუიციდის რისკები, თუმცა უარს აცხადებს შესაბამისი მკურნალობის გავლაზე. როგორც სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია აცხადებს, ამ დროს რეფერირების ცენტრი აკეთებს სუიციდის რისკის შეფასებას და მათ უგზავნის რეკომენდაციებს. რესპონდენტის განმარტებით, სერვისის მიმწოდებლებს თავადაც აქვთ ინფორმაცია ამ ტიპის რისკის არსებობის თაობაზე, თუმცა იმ ბავშვებთან, რომლებიც 24 საათი ქუჩაში არიან, აქვთ ნარკოტიკებზე, ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობლემა, აღნიშნული რეკომენდაციების მიყოლა (მაგ. სუიციდის შესაძლო იარაღის შეზღუდვის უზრუნველყოფა) წარმოუდგენელია. შესაბამისად, სახეზეა სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს ამ ტიპის რეკომენდაციების გაცემით ფაქტობრივად პასუხისმგებლობა გადააქვს სერვისის მიმწოდებელზე, როდესაც თავის მხრივ, ამ უკანასკნელს არანაირი რეალური ბერკეტი და საშუალება არ აქვს შეასრულოს გაცემული რეკომენდაცია.

გამოკითხულ ექსპერტთა დაახლოებით ნახევარი ზრუნვის სააგენტოს მიიჩნევს ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მომუშავე უწყებებს შორის ერთ-ერთ სუსტ რგოლად და აღნიშნავს, რომ ეს უწყება ამ ეტაპზე ვერ ართმევს თავს მის დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვებზე ზრუნვას ძალადობრივი ქცევის შემდგომი პრევენციისა თუ არსებული რისკების განეიტრალების მიმართულებით. პრევენციის მნიშვნელობას ხაზი გაუსვებს მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულმა პროფესიონალებმაც. რესპონდენტებმა

ისაუბრეს ადრეული პრევენციის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით კი განათლების სამინისტროს როლზე და ოჯახში არსებული პრობლემების ადრეულ გამოვლენაზე.

„მე არ ვიცი რა სჭირს ამ სისტემას, მაან მეცოდებიან ერთის მხრივ ეს გოგოები და ბიჭები, მაგრამ მეორეს მხრივ სისტემა არის გაჩერებული, მცირე საოჯახო ტიპის სახლში რომ შეხვიდე და ერთი კვირა იცხოვრო, ნახავ რა არის ძალადობა, ნახავ ძალადობის ყველანაირ ფორმას... ქეისები ვიცი, აი სასამართლოში რომ უნდა უჩვილო და არ ვიცი ბავშვების განადგურებამდე მიყვანა ჰქვია ამას.“

„სისტემა არის მხოლოდ და მხოლოდ ფრაგმენტული, არანაირი კოორდინაციის მექანიზმი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ფაქტობრივად მოშლილია უწყებებს შორის... პირველი დონის პრევენცია რომ ქვეყანაში სისტემატიზებულად არ ხორციელდება ვიცით, მეორე დონის პრევენცია შეიძლება რაღაც კარგი ინიციატივები არსებობს, მაგრამ ესეც არის ფრაგმენტული და ნაგლეჯ-ნაგლეჯ.“

“რაც შეეხება რთული და ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირებას, ფაქტიურად არ არსებობს, მე არ მახსენდება რამე ინსტრუმენტი, რომლითაც ბავშვი არის შეფასებული, ქცევა კი არა, მგონი არაფერი არ არის შეფასებული, ბავშვი ოჯახიდან რომ ძალადობრივი ქცევის გამო ჰყავთ გამოყვანილი, უარეს ძალადობრივ გარემოში უწევდეს ცხოვრება, იმიტომ, რომ არ არის შეფასებული და რომც შეაფასონ, იმიტომ, რომ არ არის სპეციალიზებული სერვისი”.

გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ასევე თანხმდება, რომ ვინაიდან ზრუნვის სააგენტოს შეხება აქვს ძალადობრივი ქცევის არასრულწლოვანთა მხოლოდ იმ სეგმენტთან, რომლის შესახებაც მიიღო ინფორმაცია/შეტყობინება, ან რომლებიც სხვა უწყებიდან გადმომისამართდნენ მასთან, როგორც ამ ტიპის ქცევის მქონენი, მთავარი სივრცე, რომელმაც უნდა დაინახოს და დააიდენტიფიციროს არასრულწლოვნის ძალადობრივი ქცევის რისკები არის საგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები. მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირება ბავშვთან შეხებაში მყოფი ყველა პირის მოვალეობაა, კერძოდ, ძალადობრივი ქცევის შესახებ ინფორმაციის პირველწყარო შესაძლოა იყოს პედაგოგი, დამრიგებელი, თანატოლი, მანდატური, სკოლის სოციალური მუშაკი და სხვა. თუმცა რაც შეეხება რეფერალის ფორმის შევსებას, ამას ძირითადად მანდატური და სკოლის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირი აკეთებს. ბავშვები შესაბამისი კონსულტირებისთვის მისამართდებიან მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალურ ცენტრში, რომელიც აფასებს მას და განსაზღვრავს იმ სერვისებს, რომლებში ჩართვაც მიზანშეწონილია კონკრეტული არასრულწლოვნისთვის.

როგორც მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება საგანმანათლებლო სკოლებში არასრულწლოვანთა ძალადობრივ ქცევაზე რეაგირება, ასევე ამ ტიპის ქცევის პრევენცია. შესაბამისად, როგორც მანდატურები, ასევე სოციალური მუშაკები გეგმავენ და ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს, რაც თავის

თავში მოიაზრებს თემატურ შეხვედრებს, დისკუსიებს, სპეციალური მოდულების განხორციელებას კლასებში, მედიაციის დანერგვას და ა/შ. ასევე ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირებას, კონსულტირებას, გასაუბრებას. კონკრეტული ექსპერტების განმარტებით, მართალია, მანდატურის ფსიქოსოციალური სერვისის კარგად მუშაობს, თუმცა მხოლოდ ფსიქოლოგის კონსულტირება არ არის საკმარისი, მით უფრო, რომ ხშირად დაბალია ფსიქოლოგთან გადამისამართებული ბავშვების სერვისში ჩართვის მაჩვენებელი. პრობლემად რჩება მშობლებთან თანამშრომლობის კომპონენტიც. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, განსაკუთრებით სახელმწიფო უწყებებიდან აცხადებს, რომ რთულია მშობელთა მოტივირება ბავშვი ატარონ საჭირო სერვისის მისაღებად, რადგან ამის იძულების მექანიზმი არ არსებობს, ძირითადი აქცენტი კეთდება მათ ცნობიერების ამაღლებაზე და დარწმუნებაზე რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის სერვისის მიღება, თუმცა ამ ტიპის საქმიანობა ყოველთვის წარმატებული არ არის და უწყებები ვერ ახერხებენ პრევენციული ფუნქციის სრულფასოვნად განხორციელებას, რითიც საბოლოო ჯამში ზარალდება როგორც ბავშვი, ისე მთელი საზოგადოება.

ამავდროულად რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს სერვისების გარე მომწოდებლებისგან მიღება, რაც გაზრდის სერვისის ხარისხს. ასევე აუცილებელია ხორციელდებოდეს მიღებული სერვისების ხარისხის სისტემატური მონიტორინგი და შემოწმება. აქვე აღინიშნა, რომ ამის საპირისპიროდ, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირია სერვისების შიდა რესურსით მიწოდება, რაც ექსპერტების ნაწილის აზრით არ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

„სოციალური მუშაკი გვყავს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში), არის ერთი მიმართულება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოდულების გამოყენება, მუდმივი 12 სესიიანი მოდულის ჩატარება კონკრეტულ კლასში, მეორე არის კონკრეტული თემის გარშემო პრევენციული, როგორც საგანმანათლებლო, ისე საკონსულტაციო შემთხვევები და მესამე, როდესაც ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე, რომ აღდგენითი მიდგომა უნდა იყოს სკოლებში და ამ აღდგენითი მიდგომის ფარგლებში აღდგენითი წრეები, შეხვედრები, აღდგენითი დიალოგი, მედიაცია, ძალიან ბევრი კომპონენტია, რომელსაც ვიყენებთ ხოლმე.“

„მაინც უფრო ზედაპირულია ეს სამუშაო, აქ უნდა იყოს ჩართული, ოჯახი, თვითონ მასწავლებელი, ფსიქოლოგი და კომპლექსურად უნდა ხდებოდეს მიდგომა, ჩვენ გვაქვს ფურცელზე დაწერილი რას უნდა ვაკეთებდეთ ამ დროს, მაგრამ ცხადია, რომ არ ხორციელდება ისე, როგორც საჭიროა. „

ჩაღრმავებული ინტერვიუებისას, რეფერირებისა და პრობაციის ეტაპზეც დაფიქსირდა მშობელთა ჩართულობის პრობლემა. რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ხშირად მშობლებს უჭირთ პასუხისმგებლობის აღება ბავშვებთან მიმართებაში.

„არის შემთხვევები, როცა ბავშვს აქვს მოტივაცია, რომ ჩვენს აქტივობებში ჩაერთოს, მაგრამ მშობელია უარზე ან იმდენად ბევრი პრობლემაა ბავშვთან და მშობელთან ურთიერთობისას, რომ გვიჭირს მათთან საერთო ენის გამოხატვა“.

„სირთულეებს რაც შეეხება ვაწყდებით იმ მხრივ, რომ ხშირად უჭირთ პასუხისმგებლობის აღება. თუნდაც იმის, რომ უზრუნველყონ ბავშვის მოყვანა“.

თუმცა, ამ კუთხით, რესპონდენტების მხრიდან, დადებითად შეფასდა, პოზიტიური მშობლობის ახალი პროგრამა, რომლის შეთავაზებაც ხდება მშობლებისთვის - „ჩვენ სარეაბილიტაციო პროგრამა რაც შევიმუშავეთ UNICEF-ის დახმარებით, საშუალება მოგვეცა, რომ უფრო მეტად ჩაგვეერთო მშობელი. დიდი ინტერესი გამოიწვია და საკმაოდ პოზიტიურ შედეგებამდეც გავედით, რადგან უშუალოდ ჩვენს ცენტრზე და ბენეფიციარებზეა მორგებული. მოსწონთ, მშობლებს, რომლებიც ჩაერთნენ“.

რესპონდენტთა ნაწილმა განმარტა, რომ მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით, არის არაერთგვაროვანი პრაქტიკა. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები აქტიურად არიან ჩართულები მოზარდის რეაბილიტაციის პროცესში და არიან მათი მხარდამჭერები, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მშობლებს აქვთ ბავშვის რთული ქცევის გააზრების პრობლემა და ზოგ შემთხვევაში ახდენენ ბავშვის უგულვებელყოფასაც.

VI. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ რთული/მართლსაწინააღმდეგო ქცევის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა იყოს დაუსჯელობის განცდა მოზარდებში. საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი კანონმდებლობა ხაზს უსვამს, რომ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა, პირველ რიგში, გულისხმობს აქცენტის გაკეთებას მოზარდების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე. თუმცა, ამავდროულად სისხლის სამართლის პოლიტიკას აქვს და უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ფუნქცია. იგი უნდა უზრუნველყოფდეს, არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციას. ადრეული პრევენცია (პირველი დონის პრევენცია) ცხადია უკავშირდება იმას, თუ როგორ მუშაობს საგანმანათლებლო და სოციალური დაცვის სისტემა, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ მეორე (რისკ ჯგუფებთან მუშაობა) და მესამე დონის (განმეორებით დანაშაულის პრევენცია) პრევენციაზე, მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სერვისებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რთული/დანაშაულებრივი ქცევის პრევენცია, ასევე სწორ სისხლის სამართლის პოლიტიკას, როგორც შემაკავებელ ფაქტორს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ძალადობრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებს შორის, ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ზრდა მოზარდებში. ამ ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს, სხვადასხვა სახის კვლევები და ანგარიშებიც. ასევე გამოიკვეთა ისეთი სახის სუბკულტურის გავლენის ზრდაც, რომელიც უკავშირდება ფაშისტურ იდეოლოგიას, რაც საყუადლებო ტენდენციაა და მოითხოვს უფრო სიღმისეულ შესწავლასა და ანალიზს.

გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდაა არასრულწლოვნებში, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის გამოყენების, ასევე განრიდების, საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მიმართულებით. მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა არის ამის მიზეზი,

უკავშირდება ეს პრევენციურ პოლიტიკას, სერვისების დეფიციტს, სისხლის სამართლის პოლიტიკას, კრიმინალური სუბკულტურის გავლების ზრდას, აღნიშნული ფაქტორების კომბინაციას თუ არის სხვა მიზეზებიც. ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემის შესაძლებლობას კვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები არ იძლევა, თუმცა ის ცხადად აჩვენებს იმ ძირითად კონტურებს, რა მიმართულებითც მნიშვნელოვანია დამატებითი კვლევების ჩატარება.

- ✓ განხორციელდეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი/რთული ქცევის გამომწვევი მიზეზების ანალიზი, სადაც აქცენტი გაკეთდება, როგორ კრიმინოლოგიურ, ასევე სხვა სახის ფაქტორებზე. ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდეს კონკრეტული რეკომენდაციები, პრევენციული და სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებების მიმართულებით.

კვლევამ ცხადყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დროულად ვერ ხორციელდება ოჯახში ბავშვის ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირება და ამ ტიპის პრობლემები სახელმწიფოს ყურადღების მიღმა რჩება, კერძოდ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამისი შეტყობინების გარეშე ოჯახთან მუშაობისთვის საკმარისი რესურსი არ აქვს, მუნიციპალურ დონეზე კი ოჯახებთან მჭიდრო კომუნიკაცია და ძალადობრივი რისკების შეფასება ვერ ხორციელდება. ძალადობრივი ქცევის დროული იდენტიფიცირების შეუძლებლობა თავის მხრივ იწვევს მიზნობრივი ინტერვენციის დაგვიანებას, ქმნის ძალადობრივ ქცევასთან გამკლავების რისკს და ართულებს არასრულწლოვანთა წარმატებული რეაბილიტაციის პროცესს. გამოწვევად რჩება ასევე ბავშვის სერვისებში ნებაყოფლობით ჩართვის საკითხი, რაც მოიაზრებს მშობლების მხრიდან ცალკეული სერვისების მნიშვნელობის გაცნობიერების პრობლემასაც. კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია მეტი მხარდაჭერა გაეწიოთ მშობლებს საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებასა და ბავშვის აღზრდაში მხარდაჭერის მიმართულებით, ოჯახთან ინტენსიური მუშაობა და მშობლის მიერ პასუხისმგებლობის გააზრება, ხელს შეუწყობს ბავშვის სერვისებში ჩართულობის უზრუნველყოფას და შვილისთვის მშობლის კონსტრუქციულ როლურ მოდელად ჩამოყალიბებას;

- ✓ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაიზარდოს ოჯახების მხარდაჭერის პროგრამები, გაძლიერდეს ბავშვის დამცავი ფაქტორები და სათემო დონეზე (მუნიციპალური სოციალური სამსახურების მიერ) უფრო აქტიური პრევენციული მუშაობა განხორციელდეს ოჯახებთან. ამავდროულად გაიზარდოს ბავშვის სპორტულ აქტივობებში და სხვა პრევენციულ აქტივობებში ჩართვის ხელმისაწვდომობა; პრევენციის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულმა ყველა უწყებამ (სკოლა, ზრუნვის სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობა) გააქტიუროს თანამშრომლობა ოჯახთან, ადრეულ ეტაპზე დააიდენტიფიციროს ბავშვის ძალადობრივი ქცევის რისკები და შესაბამისი მუშაობა აწარმოოს როგორც ბავშვთან, ასევე მის მშობლებსა და ოჯახის წევრებთან.

მართალია ადრე არსებული ფორმით რეფერირების დახურული ტიპის დაწესებულება ვერ პასუხობდა ბავშვთა საჭიროებებს და არ ემსახურებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რის გამოც საბოლოოდ დაიხურა და საკანონმდებლო დონეზე ჩანაცვლდა ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებით, თუმცა ეს ცვლილება, მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე რჩება და დაწესებულება რეალურად არ ფუნქციონირებს. მეტიც, იმ უწყების წარმომადგენლებს

რომლის ქვეშაც უნდა მოქმედებდეს რეფერირების დაწესებულება ხშირად ინფორმაციაც არ აქვთ მათივე უწყებაში ამ ტიპის ინსტიტუციის არსებობის შესახებ. კვლევამ ცხადყო, რომ მთელ რიგ კრიზისულ შემთხვევებში არსებობს ბავშვის ნახევრად დახურულ უსაფრთხო დაწესებულებაში განთავსების საჭიროება, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელია. შესაბამისად, ბავშვის გადაყვანა ხორციელდება დღის ცენტრსა თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც ვერ ფასდება თოთოეული მათგანის რისკები თუ საჭიროებები, რაც ხშირ შემთხვევაში ქმნის ბავშვზე განმეორებითი ძალადობის რისკს, ან გარემოებებს, როდესაც ეს ბავშვი თავად უქმნის საფრთხეს სხვა თანატოლებს.

- ✓ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს ისეთი ტიპის ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულების ფუნქციონირება, სადაც საჭიროების შემთხვევაში მოხდება ბავშვის გადამისამართება, ჰოლისტური პრინციპის საფუძველზე, მულტიდისციპლინური გუნდის საშუალებით განხორციელდება მისი რისკებისა და საჭიროებების შეფასება და საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება, რაც თავის მხრივ შეამცირებს ბავშვის მდგომარეობის გაუარესების რისკებს.

გამოწვევას წარმოადგენს ასევე ადამიანური რესურსებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების ხელმისაწვდომობა, როგორც ზრუნვის სააგენტოს და განათლების სამინისტროს, ასევე იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების/მომსახურებების ფარგლებში (არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესი, განრიდება-მედიციის პროგრამა, პირობითი მსჯავრის/არასაპატიმროს სასჯელის აღსრულების პროცესი). მართალია ცალკეული სერვისები არსებობს, თუმცა მათი სპექტრი შეზღუდულია, რაც თავის მხრივ ართულებს სხვადასხვა საჭიროებაზე მორგებული პროგრამების ხელმისაწვდომობას, ასევე მნიშვნელოვანია უფრო მეტი მტკიცებულების (კვლევების, შეფასების) არსებობა სერვისების ეფექტიანობის გასაზომად.

გარდა ამისა, გამოიკვეთა რომ ის სერვისები, რაც ხორციელდება აართანაზრად არის განაწილებული და ძირითადად კონცენტრირებულია ცენტრალურ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). ეს განსაკურებით გამოკვეთილია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში, ასევე არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან დაკავშირებით.

- ✓ მნიშვნელოვანია განხორციელდეს ზრუნვის სააგენტოს შევსება კვალიფიკური კადრებით, რაც შესაძლებელს გახდის ცალკეულ შემთხვევებზე სააგენტოს მხრიდან უფრო დროულ რეაგირებას, ასევე აუცილებელია სისტემატურად შეფასდეს ის შედეგები, რასაც არსებული სერვისები იძლევა, გაიზომოს მათი ეფექტიანობა, ჩატარდეს კვლევები ეფექტური პროგრამების შესამუშავებლად და არსებობდეს პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემა.
- ✓ უნდა გადაიდგას ნაბიჯები, საჭიროებებზე მორგებული სერვისების ჩამოყალიბების მიზნით, როგორც საგანმანათლებლო და სოციალური დაცვის, ასევე მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებების ფარგლებში. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, სერვისების თანაბარი განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ამ ეტაპზე მწვავედ დგას ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი უწყებების ურთიერთთანამშრომლობის საკითხი. არ არსებობს უწყებების სერვისების ერთიანი ბაზა (რიადის წესების თანახმად, მნიშვნელოვანია არსებობდეს როგორც არსებული რესურსების ერთიანი ჩამონათვალი და გაწერილი იყოს პასუხისმგებლობები პრევენციაში ჩართული უწყებებისთვის), ასევე დეტალურად არ არის გაწერილი უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმი და კონკრეტულ საქმეზე სხვადასხვა უწყების თანამშრომელთა კომპეტენციები.

- ✓ მნიშვნელოვანია მკვეთრად გაიმიჯნოს ძალადობრივი ქცევის პრევენციაში ჩართული უწყებების როლი, ასევე თითოეულ აქტივობაზე განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყება და ბავშვთან მუშაობის პროცესში დაცული იყოს მიღებული სერვისების თანმიმდევრულობა, რაც გამორიცხავს სხვადასხვა უწყების ფარგლებში ბავშვის მსგავს ან იგივე სერვისში განმეორებით ჩართვას, ოჯახში სხვადასხვა უწყების სოციალური მუშაკის ვიზიტს უკვე შეფასებული გარემოებების თავიდან შესაფასებლად და ხელს შეუწყობს ბავშვის რეინტეგრაციასა და ინტერვენციის ერთიანი, კოორდინირებული გეგმის არსებობას, რაც თავის მხრივ დაზოგავს როგორც ადამიანურ რესურსს, ასევე დროის გაჭიანურების გარეშე უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღებას.

მოზარდებში ძალადობრივი ქცევის პრევენციის მიზნით, რთული ქცევის მოზარდების იდენტიფიცირების, რეფერირების და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიმართულებით, თავისი როლი და ფუნქცია აქვს, როგორც საგანმანათლებლო და სოციალური დაცვის (განსაკუთრებით ადრეული პრევენციის მიმართულებით), ასევე სამართალდამცავ ორგანოებს. ამ კუთხით გამოწვევას წარმოადგენს ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა, სადაც განსაზღვრული იქნება ყველა უწყების ფუნქცია და როლი.

- ✓ კვლევის და ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბდეს ძალადობრივი ქცევის მქონე მოზარდებში, რთული/მართლსაწინააღმდეგო/დანაშაულებრივი ქცევის პრევენციის ერთიანი სტრატეგია, სადაც განსაზღვრული იქნება, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, განათლების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის და იუსტიციის სამინისტროს ფუნქციები, ასევე მათ შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის პროცესი.